გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 18
(11 475)

6 – 8 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ეს რა ჯიგარი გქონიათ, ქართველო მორაგბეებო!

2



როგორც 1998 წელს, თბილისში, ქართველები ახლაც მედგრად იდგნენ რუსეთის ნაკრებთან

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

3





## ფალავნები ტაშკენტიდან უხვი ნადავლით ბრუნდებიან!

2

## პირველად საქართველოში – მონიტორინგი სპორტის სფეროში!

2

## სპორტსმენთა სამკურნალო ცენტრი თბილისში, უკვე მესამედ გაძარცვეს

## მოგვეცით საფეხბურთო მოედანი გრძელვადიანი იჯარით – ითხოვს კრწანისის მოსახლეობა თბილისის მერიისგან

4

## ფეხბურთის თემაზე მომუშავე ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

28 მარტს, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების მატჩზე დასასწრები სააკრედიტაციო საშვებისთვის ა.წ. 15 მარტამდე გთხოვთ, წერილობით მიმართოთ სფფ-ს პრეს-ატაშეს მამუკა კვარაცხელიას. ტელ: 250116 ფაქსი: 001128.

## სპორტი – „ჯეოსელის" დაფარვის ზონაში!

2

7



## შავიზღვისპირეთიდან შემოსულ და აღმოსავლეთ საქართველოსკენ წამოსულ ფეხბურთს, ოზურგეთისთვის გვერდი არ აუქცევია

3-4



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

### მეორე ეტაპის I-II წრე

*2 მარტი*

**ბასკო–აზოტი 105:76**

*5 მარტი*

**შევარდენი – აზოტი 58:101**

**თსუ – სტუ-ჯეოსელი 103:124**

**ბასკო – მაკაბი** – გადაიდო

***6 და 7 მარტს*** მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო სასახლეში მორიგი კალენდარული მატჩები გაიმართება.

***6 მარტი.*** 13.00. შევარდენი – სტუ-ჯეოსელი; 14.45 თსუ – მაკაბი.

***7 მარტი.*** 13.00 თსუ – შევარდენი

16.30 მაკაბი – აზოტი.

7



## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ხვადაგიანი და იონანიძე რუსეთში გასაშევარდნებლად მიემგზავრებიან

**ქუთაისის „ტორპედოს" ცნობილი ფეხბურთელები – მცველი ვახტანგ ხვადაგიანი და თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე დღეს, სარატოვისკენ აიღებენ გეზს, ისინი რუსეთის უმაღლეს ლიგაში წელს აღზევებულ „სოკოლში" გააგრძელებენ თავის სპორტულ კარიერას.**

● **ამსტერდამის** „აიაქსის" მთავარმა მწვრთნელმა კო ადრიანსემ განაცხადა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდიდან გაუშვებს რამდენიმე ფეხბურთელს, მათ შორის ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრებს არონ ვინტერს და რიხარდ ვიტჩგეს.

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერს, ***შოთა არველაძეს***, ადრიანსემ იგი კლუბის სასურველ ფეხბურთელთა სიაში დაასახელა.

● **28 აპრილს,** მაგდენბურგში, გაიმართება გერმანიის საფეხბურთო კავშირის ახალი პრეზიდენტის არჩევნები. როგორც იტყობინებიან, ამ პოსტის დაკავების ყველაზე მეტი შანსი გააჩნია საფეხბურთო კლუბ „შტუტგარტის" ყოფილ პრეზიდენტს, უეფას აღმასკომის წევრს გერხარდ მაიერ-ვორფელდერს. სავარაუდოა, რომ იგი კავშირის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იქნება.



ანტონიო კასანო

**„რომამ"** 29 მილიონ დოლარად შეიძინა „ბარის" ნიჭიერი ახალგაზრდა ნახევარმცველი ანტონიო კასანო.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 11 თვე და 3 დღე გვაშორებს

8–25 თებერვალი 2002 წ.

# საუკუნის ათვლა 9 მედლით დაიწყო







ჩვენმა ფალავნებმა, რომელთა რიგებში, ნაკრებ გუნდებს ვგულისხმობთ, ხალიჩაზე გვერდიგვერდ გამოდიან გამოცდილი და შედარებით ახალბედა მოჭიდავეები, ამ წლისა და საუკუნის პირველ დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს ტაშკენტში, სადაც ეს ავტორიტეტული შეჯიბრება ტრადიციულად ტარდება, როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

საქართველოს ორივე ნაკრები ტაშკენტში გაემგზავრა სრული შემადგენლობით, მეტიც, ზოგიერთ წონაში ნაცვლად ერთისა, მწვრთნელებმა ორ-ორი სპორტსმენი იახლეს, რაც სპორტის დეპარტამენტის და ფედერაციის დამსახურებაა.

სპეციალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ვეტერანი და ახალგაზრდა მოჭიდავეების ერთიანობით, მონოლითური, საიმედო ნაკრები შეკრეს. ტაშკენტში ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა, რაზედაც თავისთავად მეტყველებს შედეგები. მაგალითად, თავისუფალ ჭიდაობაში (უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე) მოპოვებულია ხუთი მედალი. აი ისინიც, ვინც ტაშკენტის ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა: დავით ლეჟავა (69 კგ) და რევაზ მინდორაშვილი (76), ელდარ კურტანიძე (97) და ალექსი მოდებაძე (130), მეორე იყო თამაზ გეგეშიძე (85); ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენი ნაკრებიდან (უფროსი მწვრთნელი ბეგი დარჩია) უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს გიორგი ჯინჭველაშვილმა (76) და მირიან გიორგაძემ (130), მეორე ადგილი ხვდა ტარიელ მელელაშვილს (76), მესამე — ირაკლი ჭოჭუას (58). როგორც ხედავთ, 76 წონითი კატეგორიის ფინალში საქართველოს ნაკრების თანაგუნდელები შეხვდნენ ერთმანეთს, რაც წონაში სრულფასოვან რეზერვზე მიგვანიშნებს.

# დიადი გამარჯვება ჩრდილოელი დათვის ბუნაგში

**ევროპის „ერთა თასის“ მესამე ტურში საქართველოს „ბორჯღალოსნებმა“ ბოლომდე თავი დადეს და არნახულ ომში რუსები მათსავე მოედანზე, კრასნოდარში 25:23 დაამარცხეს.**



ამ გამარჯვების ძირისძირამდე გააზრებას ბლომად დრო დასჭირდება. ამიტომ აქ მხოლოდ მომხდარის მოკლედ მოთხრობით შემოვიფარგლებით.

რაგბის კავშირის პრეზიდენტი გეგიძე და ნაკრების აქაური წევრები შინ რომ დაბრუნდებიან, სამშაბათს, 6 მარტს, 16 საათზე, რაგბის კავშირის ოფისში გამართავენ პრეს-კონფერენციას და მედიას შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ.

ამასთან, ქართული რაგბის თემი უღრმეს მადლობას მოახსენებს რადიო „რეზონანსს“ (ფმ 101.4), რომელსაც მობილური ტელეფონით მუდმივი კავშირი ეჭირა მატჩზე დამსწრე პრეზიდენტთან და დედაქალაქს ოპერატიულად ამცნობდა მატჩის მიმდინარეობას.

**საქართველო – რუსეთი 25:23**

კრასნოდარი, დინამოს სტადიონი. 4 მარტი

***საქართველო:*** (15-9) ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზივაძე, კაცაძე, აბაშიძე; ჯიმშელაძე, აბუსერიძე (1-8) მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე კაპ; ნადირაძე, დიდებულიძე; ბოლღაშვილი, ლაბაძე, ზედგენიძე (მარქაფა), რატიანიძე, ჯაველიძე, მჭედლიშვილი, უდესიანი, მოდებაძე, ანდღულაძე, იოვაძე.

***3 ლელო:*** საჯარიმო (40), ზედგენიძე (44), ლაბაძე (62);

***2 გარდასახვა:*** ჯიმშელაძე (44, 62); 2 საჯარიმო: ჯიმშელაძე (21, 28)

**რუსეთი:** (15-9) ზაკარლიუკი, კუზინი, რაჩკოვი, ა.სერგეევი, ჟუკოვი; სიმონოვი, მოტორინი (1-8) ტრავკინი, ნიკოლაიჩუკი (ნეგოდინი 67), შუკაილოვი; შელეპკოვი, კლიმენკო; ს.სერგეევი, უამბაევი, გრაჩოვი კაპ (კაშჩეევი 32).

***3 ლელო:*** კლიმენკო (7), გრაჩოვი (31).

***გარდასახვა:*** რაჩკოვი (31); 2 საჯარიმო: სიმონოვი (40 მერე, 59)

***მსაჯი*** პრიუვო (საფრანგეთი)

***ყვითელი ბარათი*** (10 წუთით გაძევება): უამბაევი (38)

***წითელი ბარათი:*** ლაბაძე (66)

ანგარიში: 5-0, 5-3, 5-6, 12-6, 12-13, 15-13 (შესვენება) 15-18, 18-18, 18-25, 23-25.

**რუსმა** მასპინძლებმა „ბორჯღალოსანთა“ უნამუსო ხერხით დაჩიავება ზედ თამაშის წინაც სცადეს: ავტობუსი ჩვენებს ნახევარი საათით დაუგვიანეს და სტადიონის მაგივრად გუნდი აეროპორტის გზას გაუყენეს. ბედად, ქართველებმა მორიგი სიმუხთლე დროით იგუმანეს, მძღოლს მყუდრო „დინამოსკენ“ შეაცვლევინეს გეზი და მატჩის დაწყებას სულზე მიუსწრეს.

სტადიონზე „ბორჯღალოსნებს“ დაუხვდათ ქუთათურყოფილი დუგლას კავთელაშვილი, რომელიც ამჟამად რუსთა მოხალისე მრჩეველია.

„პეტროვიჩმა“ შეიცხადა, არ ვიცოდი, თუ გასახდელი დაგჭირდებოდათო და თვისტომებს ასი მეტრით დაშორებულ ქოხმახზე მიუთითა. ამაზე კი ქართველთა თავკაცებმა თავი ვეღარ შეიკავეს და მათსა და რუსებს შორის მცირედი გაწევ-გამოწევაც გაიმართა.

სტადიონი ორი ათას ფანს პირამდე შეევსო. სამხრეთი რუსეთიდან მორაგბეები ლიანგურად მიწყდომოდნენ სეირს. იყო თავისიანების გულმხურვალე მხარდაჭერა. ბედად, ყველაფერი რაგბის ვაჟკაცური და კაცთმოყვარე სულის დაცვით ხდებოდა.

ქროდა ძლიერი ქარი. შესვენებამდე ქართველები პირქარში თამაშობდნენ. „ბორჯღალოსნებმა“ თავიდანვე ეშხიან, ხელდახელ ბურთაობაზე გააკეთეს აქცენტი და ბოლომდე აღარც გადაუთქვამთ.

რუსები ფრანგი ლეგიონერის, ბებერი სერგეი კლიმენკოს ლელოთი დაწინაურდნენ. ამას ჩვენმა პალიკო ჯიმშელაძემ ორი საჯარიმო დაახვედრა. ესენი დაინიშნა იმის გამო, რომ ქართველთა სალელოე იერიშები რუსებმა წესის დარღვევით ჩაშალეს.

ქარმა თამაშს მაინც დაასვა დაღი. ქართველებმა შეტევაში ბლომად კარგეს ბურთი. რუსთა კაპიტანმა სლავა გრაჩოვმა მეორედ რომ დაგვალელოვა, დაშავდა და შეცვალეს. მალე ყაზახი მამლუქი, მურატ უამბაევი ათი წუთით მიაბრძანეს მოედნიდან და ჩვენმა შერკინებამაც მაგრად დაიბრიყვა რიცხვნაკლული მეტოქე:

ჯერ ქართველებმა რუსები მათს ლელოში ძალით შეათრიეს და ესენი რომ ჩაწვნენ, მსაჯმა საჯარიმო ლელო დანიშნა – 13:12. მერე, განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და 8 ნომერმა ილო ზედგენიძემ შერკინებიდან აიღო ბურთი და ისევ გაიტანა ლელო, მაგრამ რუსთა მეორე დამრტყმელმა, ვლადიმირ სიმონოვმა გაგვითანაბრა ანგარიში – 18:18.

ამ დროს უკვე ზურგქარი გვეხმარებოდა და რუსები ოცი წუთი მათსავე ნახევარზე გვყავდა დამწყვდეული. ერთ მომენტში ვასილ აბაშიძემ გაჭრა რუსთა დაცვის ხაზი და გია ლაბაძემ გაინავარდა 25:18.

რუსები გავეშდნენ და მოგვეძალდნენ. ბარემ 15 წუთი გვიტიეს.

ჩვენს ლელოსთან ზედიზედ ინიშნებოდა ჯარიმები. ისინიც ათამაშებდნენ, მაგრამ როგორც 1998 წელს, თბილისში, ქართველები ახლაც ფეხმოუცვლელად იდგნენ. ამ დროს გაგვიძევეს ლაბაძე, მაგრამ მეტოქე მაინც ვერ მოგვერია.

ბოლოს, მავანმა რუსმა (მისი ვინაობა ამოტოლა დელვის გამო თვით რუსთა მიერაც დაუდგენელი დარჩა!), გაგვიტანა ლელო მოედნის კიდეზე, მაგრამ ეგზომ ქარში მისი გარდასახვა სლავებმა ვერ შეძლეს და სამართალმაც პური ჭამა.

ნამატჩევს ჩვენებმა ტაშით გააცილეს რუსები და ვალში არც ეგენი დარჩენილან. მერე კი იყო ტრადიციული მატჩის შემდგომი წვეულება.

***სხვა მატჩები:***

**ესპანეთი - პორტუგალია 31:15**

***მსაჯი*** ლაზაგა (საფრანგეთი)

**რუმინეთი - ჰოლანდია 52:15**

***მსაჯი*** გაბაი (გერმანია)

| | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 126:27 | 16- 2 | 6 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 93:38 | 13- 3 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 94:74 | 14- 6 | 4 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 2 | 72:72 | 4- 7 | 2 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 2 | 38:125 | 4- 19 | 0 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 3 | 27:114 | 0- 14 | 0 |

***შემდეგ ტურში*** ჩვენი ნაკრები 17 მარტს თბილისში, ესპანელებს უმასპინძლებს.

ზაალ გიგინეიშვილი

# სპორტის დეპარტამენტი მონიტორინგს იწყებს

**ჩვენი ქვეყნის სპორტულ მოძრაობაში საშუალო და ქვემდებარე რგოლებში მუშაობის მდგომარეობის შესწავლისა და დახმარების მიზნით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების, სპორტის დეპარტამენტის დებულებისა და სპორტის შესახებ კანონის შესაბამისად, მიმდინარე თვეში სპორტის დეპარტამენტის მიერ შერჩეულ სპეციალისტთა ჯგუფები საქართველოს რეგიონებს ეწვევიან. ფაქტობრივად, ეს არის მიზნობრივი მონიტორინგი, რომელმაც რეალური სურათი უნდა წარმოაჩინოს თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი (სასწავლო დაწესებულებების ჩათვლით) სფეროში. მონიტორინგის შედეგად მოპოვებულ მასალებს საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილავენ.**

# SOS

# ძარცვა ნაშუაღამევს

**თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც ჭავჭავაძის პოსპექტზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ შენობაშია განთავსებული, გასულ კვირას, ნაშუაღამევს, პირწმინდად გაძარცვეს – უკვე მესამედ!**

**ამ სამკურნალო დაწესებულებას დიდი ხანია უტევენ ლტოლვილები საცხოვრებლად ხელში ჩასაგდებად, როგორც ამბობენ, ძირითადად ისინი, ვინც წყნეთში ცხოვრობენ და თბილისში საქმიანობის შემდეგ, გვიან საღამოს წყნეთში ასვლა უჭირთ.**

**მოკლედ, სპორტსმენები სამკურნალო და რეაბილიტაციის ხელსაწყო-დანადგარების გარეშე დარჩნენ. დატაცებულია აგრეთვე ცნობილი სპორტული ექიმის ზაქრო თელიას პირადი აპარატურა, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ტრავმირებულ სპორტსმენებს ჯანმრთელობის აღდგენაში.**

# ბროშურა კლუბის ცხოვრებაზე




ძიუდოსა და სამბოში ზესტაფონის კლუბ „ფალავანს“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. კლუბის პრეზიდენტმა ხ. ბოჭოიძემ და ჟურნალისტმა გ. აბაშიძემ გადაწყვიტეს კლუბის ისტორია ერთ ბროშურაში მოქცეულიყო და ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ზესტაფონის მდიდარი სპორტული წარსული და მის ფონზე ძიუდოს და სამბოს ოსტატთა ათწლიანი სახელოვანი ისტორია. „ფალავნის“ აღზრდილებმა მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც გაითქვეს სახელი ამ 10 წელიწადში. ცხადია, ავტორებმა ჯეროვანი პატივი მიაგეს შესანიშნავ მწვრთნელებს, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან ქართულ სპორტს.

ბროშურა უხვადაა ილუსტრირებული.

# სპორტი „ჯეოსელის“ დაფარვის ზონაში!

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციამ, რომელმაც შარშან, 24 ნოემბერს, ჩაატარა IV ყრილობა, საგრძნობლად გააუმჯობესა საქმიანობა. ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ ფედერაცია სპონსორებს არ ეძებს. დელეგატთა შენიშვნებს პრაქტიკული საქმეც მოჰყვა. უკვე შარშანვე დეკემბერში, შპს „ამირანმა“ მთლიანად დააფინანსა თბილისის პირადი ჩემპიონატი, აგერ, ამ დღეებში კი შპს „ჯეოსელის“ გენერალური მენეჯერის ჰეკან ერაქაის ინიციატივით საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სპორტული კომპლექსის (უფროსი მიხეილ ფრიდმანი) ტირი შეჯიბრების მონაწილეებს — თბილისელებსა და ქუთაისელებს — ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. მსაჯთა კოლეგიას უძღვებოდა ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გივი ბოსტოღანაშვილი. მართალია, შედეგები მაღალი არ არის, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეშვიდე წელიწადია ჩვენში პირველობა არ ჩატარებულა. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 27 სპორტსმენი, მათ შორის ექვსი ქუთაისიდან. განაცხადში იყვნენ ბოლო ოლიმპიადის მონაწილენი — თბილისელი ნინო სალუქვაძე და ქუთაისელი ნინო უჩაძე. მათი პაექრობა, უდავოა დიდ ინტერესს გამოიწვევდა, მაგრამ შეჯიბრების წინ ნინო სალუქვაძე ავად გახდა. ქუთაისელმა სტუმარმა, ცხადია, უკონკურენციოდ გაიმარჯვა — 377 (95+93+98+91) ქულა 400 შესაძლებლიდან. თუ დავაკვირდებით სერიებს, ამ სპორტსმენს აქვს შანსი აიმაღლოს შედეგი, მაგრამ აუცილებლად საჭიროა ვარჯიშზე დატვირთვის გაზრდა. ვაჟებში თავი ისახელა გიორგი სვანიძემ — ქუთაისის აგრო-საგარეო ეკონომიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი, რომელმაც დააგროვა 375 ქულა. მასაც აქვს შანსი გააუმჯობესოს შედეგი და სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მწვრთნელი როლანდ გირგვლიანი გიორგის ამას შეაძლებინებს. ცალკე ასპარეზობდნენ ახალგაზრდები. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ 11-18 მარტს ესპანეთის ქალაქ პენტაველრაში ტარდება ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გამოჩნდება თუ არა სპონსორი. შეჯიბრებას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეებს დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს ილონებენ ჩვენში ტყვიის სროლის ტრადიციის ასაღორძინებლად.



*შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები*




***პნევმატური პისტოლეტი. ქალები:*** 1. ნინო უჩაძე (ქუთ.), 2. მარიკა ბიბილური, 3. ნინო ღალაშვილი (ორივე — თბ); ***ვაჟები:*** 1. გიორგი სვანიძე, 2. მამუკა ბოსტოღანაშვილი, 3. გიორგი ამაშუკელი (სამივე — თბ); ***ახალგაზრდები:*** 1. დიმიტრი შადური, 2. სერგი ჩიტაიშვილი, 3. გრიგოლ აბესაძე (სამივე — თბ). პნევმატური შაშხანა, ***ქალები:*** 1. ხათუნა ბერიკაშვილი, 2. დიანა ავეტისიანი, 3. თამილა ასათიანი (სამივე — თბ); ***ვაჟები:*** 1. გიორგი ხავთასი (თბ), 2. გიორგი დვალი (ქუთ), 3. შალვა ბერიძე (თბ).

რუბენ კაცობაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**XIX ტური, ლოკომოტივის სტადიონი, 5 მარტი, უმაღლესი ლიგა.**

### ლოკომოტივი (თბ.) — ვიტ ჯორჯია (თბ.) 2-0

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ზ. ლაცაბიძე (დათვაძე 46), ცხადაძე, სალუქვაძე, გილაური, გ. კვარაცხელია, ჰიჭვეიშვილი, ანჩაბაძე (ბაქრაძე 75), გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (რუსია 46).

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ჰანკოტაძე (წუწუნავა 83), გიორგი ქორიძე (ხაჰაპურიძე 73), ლაშა ნოზაძე, დილმელაშვილი (ადამია 85). გოგობერიშვილი, ინწკირველი, ვ. გოჩაშვილი, მელქაძე.

***გოლები:*** რუსია (77), გ. კვარაცხელია (87).

***გააფრთხილეს:*** გოგობერიშვილი, ვ. გოჩაშვილი.

***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-20 წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა გიორგი ქორიძემ ხელსაყრელი ეპიზოდი გოლად ვერ გარდასახა. რამდენიმე წუთში ვიტელებს ჰიჭვეიშვილმა ძლიერი, მაგრამ უზუსტო დარტყმით უპასუხა. მთლიანობაში პირველი ტაიმი საკმაოდ დუნედ და მშვიდობიანად წარიმართა.

მეორე ტაიმში მატჩის სურათი მკვეთრად შეიცვალა, იმატა თამაშის ტემპმა და სახიფათო მომენტებიც შეიქმნა ორივე კართან. გივი ნოდიას მოთამაშეთა შეცვლებმაც აშკარად გაუმართლა. „ლოკომოტივი" მწვავედ უტევდა. დათვაძის და რუსიას გამოჩენამ რკინიგზელთა თავდასხმა მობილური და უფრო სახიფათო გახადა, რამაც ათწუთიან მონაკვეთში მასპინძლებს გაამარჯვებინა კიდეც. დათვაძე-რუსიას მონდომებით პირველი გოლიც შედგა. თამაშის მიწურულს ისევ დათვაძე აქტიურობს, მისი პასით კვარაცხელიამ მეორე გოლი გაიტანა და მატჩიც მორჩა.

განახლებული ჩემპიონატის ორ ტურში „ლოკომოტივმა" დაგეგმილი ქულები დააგროვა, ერთპიროვნულად ლიდერობს და, რაც მთავარია, თამაშის საერთო დონით მეტოქეებზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც შედეგებზეც აისახა. სამწუხაროდ, იტალიური შეკრებაგავლილი „ვიტ ჯორჯია" დუნედ გამოიყურებოდა და ორ მატჩში მხოლოდ ქულა აიღო, ისე რომ, გოლიც არ გაუტანია.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



*ასე გაიტანა პირველი გოლი მამუკა რუსიამ „ვიტ ჯორჯიას" კარში*

### პრესკონფერენციაზე

**გივი ნოდია — „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი:** „მძიმე თამაში იყო, მეტოქე მობილიზებული გამოვიდა მინდორზე. სტუმრები მჭიდროდ „მეურვეობდნენ" ჩვენს წინახაზელებს კაიდარაშვილსა და ანჩაბაძეს, ამიტომ მეორე ტაიმში ტაქტიკური შეცვლები განვახორციელეთ და თამაშში უფრო სწრაფები რუსია და დათვაძე შემოვიყვანეთ. ამან გაამართლა, სანამ ვიტელები გაერკვეოდნენ, ანგარიში გავხსენით, მერე კი მეორე გოლიც გავიტანეთ. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ წინა მატჩთან შედარებით მოუმატა თამაშს კვარაცხელიამ. მატჩმა დაგვანახვა, რომ კიდევ არსებობს რეზერვი გუნდის შეტევითი პოტენციალის გაძლიერებისა. უახლოეს ხანში მინდორზე იხილავთ გამოცდილ მცველ მურთაზ შელიასაც... რაც შეეხება მსაჯობას, საერთო ჯამში იგი დამაკმაყოფილებელი იყო".

**ვეფხია გვენცაძე — „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:** „ვეთანხმები ბატონ გივის, თამაში მართლაც მძიმე იყო. ჩვენ შევეცადეთ მჭიდროდ აგვეყვანა მეტოქე ფეხბურთელები, მაგრამ ოსტატობამ თავისი სიტყვა თქვა, ცხადაძესთან, ანჩაბაძესთან, გოგიჩაიშვილთან და სხვა გამოცდილ მოთამაშეებთან ჭიდილი სახუმარო საქმე არაა..."

## ტექნიკური შედეგები

### დინამო (ბათუმი) — კოლხეთი 1913 2-2

**დინამო (ბთ):** ჭანტურია, აფხაზავა, მინდაძე, პაპიძე, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი (ყულეჯიშვილი 86), რომანაძე, (გველესიანი 70), მაჭუტაძე, ტუღუში, (დარჩიძე 55), ა. მუჯირი.

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ტორჩინავა, ფანჩულიძე, პაპავა (მუმლაძე 24), აკობია, ქობულაძე, ხუჭუა (ლალანიძე 34), ე. გვასალია, კვირკველია (ხუროძე 70), წივწივაძე, გოროზია.

***გოლები:*** 1-0 ღლონტი (2), 1-1 კვირკველია (39), 2-1 მაჭუტაძე (49), 2-2 წივწივაძე (72).

***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი)

### ტორპედო — იბერია 2-0

**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ვაშაკიძე, თოდუა, გუჩუა (ც. კვეტენაძე 43), დიდავა, ასათიანი, იონანიძე (იმედაძე 46), დ. ჯანაშია (გონჩაროვი 70), აშვეთია.

**იბერია:** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, გაგუა (სანიკიძე 74), გ. ხიზანიშვილი, ივეჩიანი, გულორდავა (ჩაჩუა 70), ნინუა, თარგამაძე, ძამსაშვილი (ქვანია 72).

***გოლები:*** აშვეთია (16), ასათიანი (66)

***გააფრთხილეს:*** ნინუა

***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### თსუ — გორდა 2-1

**თსუ:** სტურუა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, მესხი, გვაზავა, ახალაძე (დათუნაშვილი 80), ბ. ნოზაძე (შოშიაშვილი 73), ბეროშვილი (მერებაშვილი 35),

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი (თ. მეტრეველი 64), ბერიძე, მელაძე, ბუკია (მიშველიძე 63), კიტეიშვილი, ჯულელი, ბექაური, პატარიძე (სოხაძე 81), კ. ალადაშვილი, ა. ჯელაძე.

***გოლები:*** 1-0 გვაზავა (61), 2-0 მერებაშვილი (63), 2-1 ჯელაძე (65).

***გააფრთხილეს:*** ხარებავა, მესხი, ლაბაძე, კედელაშვილი, ჯელაძე, გვაზავა.

***გააძევეს:*** გვაზავა

***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

### სიონი — მერანი 0-1.

**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, სიდამონიძე, ასპინძელაშვილი, სოლოღაშვილი, ბარნოვი, დავითაშვილი, მ. გოგოლაძე (მოსეშვილი 46), ბ. შენგელია (ც. მეტრეველი 78), კ. გოგოლაძე, ისიანი.

**მერანი:** ნაჭყებია, გოგიტიძე (გ. ილურიძე 88), გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ბოლქვაძე, (მუხინი 71), ჩხაიძე (კოშკაძე 79), დევიძე, კვეკვესკირი, დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი.

***გოლი:*** 0-1 მუხინი (83)

***გააფრთხილეს:*** ბარნოვი, სიდამონიძე, სოლოღაშვილი, დევიძე.

***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

### დინამო (თბ.) — დილა (გორი) 2-0

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჩივაძე, მანწკავა (აფციაური, 75), ბურდული, მიქაძე (თუთარაშვილი, 60), სვანაძე, სახვაძე (ი. შენგელია, 80), ზირაქიშვილი.

**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი (ხმალაძე, 71), ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ჩიტაია (ბურნაძე, 78), გოჩაშვილი, საყვარელიძე (გრიგალაშვილი, 46), ფეზუაშვილი, კოტორაშვილი, მაისურაძე, ეჯოშვილი.

***გოლები:*** ზირაქიშვილი (20, 69).

***გააფრთხილეს:*** კანდელაკი, თუთარაშვილი, ჩიტაია, საყვარელიძე, მაისურაძე.

***მსაჯი:*** დ. სანაია (სოხუმი).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 16 | 1 | 2 | 35-7 | 49 |
| ტორპედო | 18 | 13 | 3 | 2 | 30-6 | 42 |
| დინამო (თბ.) | 19 | 13 | 2 | 4 | 45-17 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 9 | 6 | 4 | 26-14 | 33 |
| კოლხ.-1913 | 19 | 8 | 5 | 6 | 21-16 | 29 |
| მერანი-91 | 18 | 7 | 6 | 5 | 18-17 | 27 |
| დინამო (ბთ.) | 19 | 6 | 4 | 9 | 24-27 | 22 |
| სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 13-28 | 19 |
| თსუ | 19 | 5 | 3 | 11 | 19-33 | 18 |
| გორდა | 19 | 3 | 8 | 8 | 14-24 | 17 |
| დილა | 19 | 4 | 3 | 12 | 13-35 | 15 |
| იბერია | 19 | 0 | 3 | 16 | 3-37 | 3 |

### პირველი ლიგა. XVIII ტური

**3 მარტი**

| | |
|---|---|
| თორი — დინამო (ზ) | 5-0 |
| შუქურა — ოკეანე | 2-0 |
| სამგურალი — კოლხეთი (ხ) | 2-0 |
| თბილისი — ცხინვალი | 0-0 |
| მეტალურგი — მილანი | 2-1 |
| გურია-ლოკ2 — ივერია | 3-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია-ლოკ2 | 18 | 11 | 4 | 3 | 28-20 | 37 |
| ცხინვალი | 18 | 10 | 3 | 5 | 40-19 | 33 |
| მილანი (წ) | 18 | 10 | 3 | 5 | 26-15 | 33 |
| შუქურა | 18 | 10 | 3 | 5 | 25-14 | 33 |
| მეტალურგი | 18 | 9 | 6 | 3 | 28-16 | 33 |
| სამგურალი | 18 | 9 | 3 | 6 | 30-17 | 30 |
| თორი | 18 | 8 | 2 | 8 | 21-15 | 26 |
| დინამო (ზ) | 18 | 7 | 3 | 8 | 26-34 | 24 |
| კოლხეთი (ხ) | 18 | 4 | 5 | 9 | 11-22 | 17 |
| ივერია | 18 | 4 | 3 | 11 | 11-31 | 15 |
| ოკეანე | 18 | 3 | 3 | 12 | 15-35 | 12 |
| თბილისი | 18 | 3 | 2 | 13 | 7-30 | 11 |

## როგორ ინყებოდა ფეხბურთი ოზურგეთში

**დადის ოზურგეთში საშუალო ტანის, თეთრფეროვანი, ასაკოვანი კაცი სხივნათელი თვალებითა და სათნო ღიმილით. თანატოლები პირზე კოცნითა და მხრებზე ხელის მოთათუნებით ხვდებიან ოზურგეთელთათვის და არა მარტო მათთვის, ასე ახლობელსა და სასურველ ადამიანს.**

ახლა ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ კიდევ გუშინ, ჩვენს გვერდით იყვნენ ადამიანები, რომლებმაც პირველებმა შემოიტანეს და ოზურგეთელებს გააცნეს პლანეტის ყველა კონტინენტზე ასე პოპულარული და ადამიანთა გულების ერთბაშად დამპყრობი ფეხბურთი.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ეს საოცარი ენთუზიასტები იყვნენ იმ დროს ცნობილი სპორტსმენი იოსებ (ქუცუნია) ქადეიშვილი და წლების მანძილზე შემოქმედის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ტოგო დუმბაძე.

სიახლისადმი ლტოლვით გამორჩეულმა, ცეცხლითა და აზარტით აღსავსე გონებაგახსნილმა და სხარტმა გურულებმა, ერთბაშად აიტაცეს ნისლიანი ალბიონის მკვიდრთა გამოგონებული, მათი ბუნებისათვის თითქოს შეუთავსებელი სპორტის ეს საოცარი სახეობა.

ფეხბურთის ეპიდემია მთელ ოზურგეთს მოედო. თამაშობდა ყველა — დიდი თუ პატარა. თამაშობდნენ ყველგან — მინდვრებში, ეზოებში, ქუჩებშიაც.

ისიც ლოგიკურია, რომ ფეხბურთით დაინტერესებულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ აითვისა, ალღო ვერ აუღო თამაშს, რომელიც სათანადო ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, სპეციფიურ ნიჭს, დიდ ჭკუასა და მდიდარი იმპროვიზაციის უნარს მოითხოვდა.

ცხადია, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ყველა პარამეტრით აკმაყოფილებდნენ ფეხბურთელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და უპრობლემოდ გახდნენ ოზურგეთის ისტორიაში პირველი ოფიციალური ფეხბურთელთა გუნდის წევრები.

არც ერთი მათგანი შემთხვევითი პიროვნება რომ არ ყოფილა, ამაზე შემდგომი წლების მათი ცხოვრებისეული გზაც ნათლად მეტყველებს.

აი ისინიც: შოთა ჭანუყვაძე — შემდგომში მახარაძის რაიკომისა და



*ბახა მექვაბიშვილი*

საქართველოს კპ ცეკას მდივანი, პეტრე ჭელიძე — გამოჩენილი ფიზიკოსი, ატომისტი, მეცნიერი. გიორგი (ჟორა) თაყაიშვილი — უშიშროების პოლკოვნიკი, ვლადიმერ ბაჯელიძე — საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვასო ხავთასი — ლანჩხუთის რაიკომის მდივანი, ვანო სიხარულიძე — ინჟინერ მშენებელი, ბორის ჯალაღონია — ინჟინერ-მშენებელი და ა.შ.

* * *

მართალია, ქალაქის ოფიციალურ სტადიონზე „პატარა ეშმაკუნებს" სათამაშოდ არ უშვებდნენ (უბრალოდ, დრო არ რჩებოდა), მაგრამ ანცი ბიჭები თავად ქმნიდნენ იმპროვიზებულ მოედნებს და დილიდან დაღამებამდე დასდევდნენ ბურთს (უფრო სწორად ნაირგვარი მასალისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებულ იმიტაციას, რაც ბურთის მაგივრობას სწევდა).

ერთი ასეთი „სტადიონი" მაშინდელი სტალინის ქუჩაზე, ივანე სვანიძის ვრცელი ეზო იყო. მოცალეობის ჟამს, სვანიძის ეზოს თვით იოსებ ქადეიშვილი ესტუმრებოდა ხოლმე და გარეგნულად თითქოს გულგრილად, მაგრამ მთელი გულისყურით აკვირდებოდა მოზარდთა თამაშს, მომავალი ნამდვილი ფეხბურთელების დასაგუმანებლად.

პირველი ბავშვი, ვისაც ი. ქადეიშვილმა თვალი დაადგა ბახა (გივი) მექვაბიშვილი გახლდათ, ერთ-ერთი „პრინციპული" თამაშის მოგების შემდეგ, მაშინ მოთამაშე-მწვრთნელმა ბახა ცალკე გაიხმო, ვინაობა გამოჰკითხა, თამაში შეუქო, რამდენიმე დამრიგებლური შენიშვნა მისცა და თბილი ღიმილით გამოემშვიდობა.

ასე დაიწყო გამოცდილი ოსტატისა და ნიჭიერი შეგირდის მომავალი საქმიანი ურთიერთობა და მეგობრობა, რამაც სულ მალე გამოიღო შთამბეჭდავი შედეგი.

ჯერ კიდევ ოციან წლებშივე ოზურგეთში ჩამოყალიბდა ფეხბურთელ ბავშვთა გუნდი, რომელსაც სათავეში გიორგი (ჟორა) თოხაძე ჩაუყენეს.

ბახა მექვაბიშვილი პირველი იყო, ვინც ამ გუნდის წევრთა სიაში შეიყვანეს და ამაში ი. ქადეიშვილის რეკომენდაციას, როგორც იტყვიან, ლომის წილი ედო. გუნდში, ბახასთან ერთად ჩაირიცხნენ ძმები: შოთა და ვასო შოშიტაიშვილები, დუდე და ზაზა მასხულიები, მანიკა და იმრატი ზაქარიაძეები, კოტე თავბერიძე, ჭოლა ლომთათიძე, დავით სამსონიძე, შუტუ გოგუაძე, კუკური ნაკაიძე, კოტე გოგატაძე, გიორგი მახარაძე და ვახტანგ ჩხიკვიშვილი.

რისხვად და შიშის ზარად ევლინებოდა ოზურგეთელ მოზარდთა გუნდი იმდროინდელ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ თანატოლ ფეხბურთელთა კოლექტივებს. ბრწყინვალე გამარჯვებაც არაერთგზის იზეიმეს ბიჭებმა, რაშიაც სხვებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ბახა მექვაბიშვილი იყო მთავარი „დამნაშავე". მისი თამაში კვლავაც მოზრდილთა გუნდის ხელმძღვანელობის მუდმივი ყურადღების

იხ. მე-4 გვ.



*1935 წ. ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდი*

# როგორ ინყებოდა ფეხბურთი ოზურგეთში

*(მესამე გვერდიდან)*

ცენტრში იყო და, სულ მალე, იგი რაიონის პირველი გუნდის წამყვანი ფეხბურთელი გახდა.

გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. მეორე ქვეჯგუფში მოასპარეზე ოზურგეთელთა კოლექტივმა, 1938 წელს ფინალში, ნეიტრალურ სტადიონზე (სამტრედიაში) სასტიკად დაამარცხა ცხაკაიას გუნდი და პირველ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. თუ რამდენად ფასეული იყო ეს წარმატება, ამაზე ციფრებიც მეტყველებს. ***სულ საქართველოში, მაშინ პირველ ჯგუფში 9 კოლექტივი ასპარეზობდა, რომელთაგან 5 დასავლეთ საქართველოდან იყო.***

1939 წელს, ბახა მექვაბიშვილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის ფიზკულტურულ ტექნიკუმში აგრძელებს სწავლას და თამაშობს ფეხბურთს, რომლის გარეშე მას, უბრალოდ, არსებობაც კი არ შეეძლო. იგი ამ სასწავლებლის გუნდის კაპიტანი გახდა. სწორედ მაშინ თბილისელ სპეციალისტთა საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა. უკვე სერიოზულად ლაპარაკობდნენ ბახა მექვაბიშვილის რესპუბლიკის პირველ გუნდში ჩარიცხვაზე, მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და პერსპექტიული ჭაბუკი არმიაში გაიწვიეს.

1941 წლის ნოემბერში, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, 1942 წელს, სასტიკ ბრძოლებში მეტისმეტად შეთხელებული მისი დივიზია, შევსების მისაღებად, ლენინაკანში გადაისროლეს. იქ, ბახა დივიზიის ფიზიკური აღზრდის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს, ტექნიკუმში მის მასწავლებელს ირაკლი ჯორჯაძეს ხვდება და მისი დავალებით აყალიბებს ფეხბურთელთა გუნდს. 10 ათასი კაციდან ბახვამ დიდის გულისყურით შეარჩია 20 ფეხბურთელი როგორც რიგითები, ასევე ოფიცრები, მათ შორის იყო შემდგომში მთელს კავშირში სახელმოხვეჭილი ანდრო ზაზროშვილი. იმ პერიოდში ბახა მექვაბიშვილის გუნდს (იგი მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ) არავისთვის დაუთმია ამიერკავკასიის ჯარების ჩემპიონის საპატიო ტიტული.



1947 წ., მოსკოვი, A კლასში გადასასვლელი ფინალური მატჩის წინ. თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდის მედროშეა ბ. მექვაბიშვილი

* * *

**1943 წელს** ბახას 15-დღიან შვებულებას აძლევენ. უკან თბილისის გავლით ბრუნდებოდა. ქუჩაში გამოკრული აფიშებიდან შეიტყო, რომ იმ დღეს, თბილისის „დინამოს“ და ოფიცერთა სახლის გუნდების შეხვედრა უნდა შემდგარიყო. ბახამ, რა თქმა უნდა, სტადიონს მიაშურა.

თამაშის დამთავრების შემდეგ ბახა გასახდელში ჩავიდა მეგობარ ფეხბურთელებთან შესახვედრად. იქ იგი ნახა ნესტორ ჩხატარაშვილმა (შემდგომში მსაჯი), რომელიც იმ დროს ოფიცერთა სახლის მთავარი მწვრთნელი იყო. როცა ნესტორმა ბახას ამბები შეიტყო, გუნდის უფროსს, გენერალ მახონკოვს სთხოვა, ეშუამდგომლა ნიჭიერი ფეხბურთელის ოფიცერთა სახლის გუნდის შემადგენლობაში გადმოყვანის თაობაზე, რაც ოპერატიულად შესრულდა და, ასე, მოულოდნელად, ბახა მექვაბიშვილი თბილისში დატოვეს.

დაიწყო, ახალი, საინტერესო ეტაპი ნიჭიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში.

1950 წლამდე ბახა ოფიცერთა სახლშია. ამ ხნის მანძილზე გუნდმა 5-ჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონის ტიტული, იმავე, 1950 წლიდან კი გუნდმა საკავშირო გათამაშების „ა“ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და ბახა მექვაბიშვილი ამ მიღწევაშიც მთავარ „სამხედრო დამნაშავედ“ იყო.

საქართველოს რესპუბლიკის ორ ოლქად (თბილისისა და ქუთაისის) გაყოფის შემდეგ, როცა ქუთაისის „დინამო“ ოლქის, ანუ დასავლეთ საქართველოს პირველი გუნდი გახდა, უფროსმა მწვრთნელმა ვახტანგ (დუკა) რამიშვილმა (ერთ დროს მასთან ოფიცერთა სახლში თამაშობდა), ბახა უკვე ამ ახლადშევსებულ და თითქმის მთლიანად გადახალისებულ კოლექტივში მიიწვია.

4 წელი ითამაშა ბახამ ქუთაისში და ფეხბურთელისათვის უკვე სოლიდურ ასაკს (თითქმის 40 წელს) მიღწეული გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს.

1958 წელს ლაითურის მეურნეობის დირექტორის ვახტანგ ჭეიშვილის თხოვნით, დაბის ფეხბურთელთა გუნდს აყალიბებს და 4 წლის მანძილზე, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდა საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფის კოლექტივებში.

ასე რომ, საერთო ჯამში, ბახა მექვაბიშვილი მთელი 28 წელიწადი ემსახურა საქმეს, რისთვისაც იგი ჭეშმარიტად იყო მოწოდებული.

* * *

**დიახ,** დადის დღეს ოზურგეთში გულღია, სპეტაკი, ლამაზი სულისა და ბიოგრაფიის ხანდაზმული კაცი, რომელიც ყველას უყვარს და რომელსაც ყველა პატივს მიაგებს.

კიდევ ბევრი შეიძლებოდა თქმულიყო ბახა მექვაბიშვილის დიდ ღვაწლზე მის კაცურ კაცობაზე, მის საერთო ადამიანურ თვისებებზე, მაგრამ საგაზეთო წერილს თავისი ფარგლები გააჩნია და ამდენად ზოგიერთ რამეზე თავი უნდა შევიკავოთ.

რამდენიმე შტრიხს შეგახსენებთ მხოლოდ: დღეს 80 წლის ბახა ორი შვილის მამა, 6 შვილიშვილის ბაბუა და ერთი შვილთაშვილის დიდი პაპა გახლავთ. თანაც, შვილიშვილები და შვილთაშვილი, ყველანი ვაჟები არიან.

1968 წელს რაიონის ყველა დროის ყველაზე დიდ ფეხბურთელად დაასახელეს.

თენგიზ კუნჭულია თავის წიგნში „ქალაქი და ტრადიციები“ წერს: „1967 წელს საფრანგეთსა და მონაკოში მოგზაურობისას, მას წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელი და ჰოკეისტი ვსევოლოდ ბობროვი შეხვედრია, რომელსაც ცნობილი „ვვს“-ს შემადგენლობაში, შავი ზღვის სანაპიროზე საწვრთნელი მეცადინეობების დროს ერთხელ ოზურგეთის რაიონულ გუნდთან ჰქონია შეხვედრა. მან თურმე გაიხსენა მწვანე ქალაქი ბათუმთან ახლოს და ქებით მოიხსენია ოზურგეთელთა „ჩოფურა მარცხენა შუამარბი“ ბახა მექვაბიშვილი, რომლის თამაში იმდენი წლის შემდეგაც ძალზე კარგად ახსოვდა“.

**როლანდ თავაძე**

## დაუბრუნეთ საფეხბურთო მოედანი მოსახლეობას

**იყო დრო თბილისის თითქმის ყველა უბანს, სპორტული მოედანი ამშვენებდა. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც კრწანისის რაიონი ყოფილა. ხეივნის ქუჩაზე, მოსახლეობის ძალისხმევით, გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელი სპორტული კომპლექსი გაშენდა. კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე მუდამ ჟრიამული იყო. მაგრამ ჟამთა სვლამ, სამწუხაროდ, ყველაფერი შეცვალა. განუკითხაობას ეს კომპლექსიც შეეწირა. განადგურდა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. მოსახლობის საზრუნავი ახლა საფეხბურთო მინდვრის შენარჩუნებაა, აქ კი ისინი დედაქალაქის მერიის შემწეობის იმედად არიან. ხეივნის ქუჩის ერთ-ერთმა მობინადრემ ჩვენთან საუბარში ისიც კი დაიჩივლა – ჩემი ვაჟი 22 წლისაა და უბანში ბურთი, არც გაუგორებიაო, აბა ეს საქმეა? ჩვენც გვსურს, მერიის დახმარებით, ეს მინდორი მაინც შევინარჩუნოთო. მოსახლეობა მალე მიმართავს მერიას წერილით და სთხოვს სტადიონი უბნის მოსახლეობას გადაეცეს იჯარით 25 წლით. ეს კი მათ უფლებას მისცემს კანონიერ საფუძველზე მიხედონ სტადიონს, კეთილმოაწყონ, დაუბრუნონ მას პირვანდელი სახე და ფუნქცია. მოსახლეობას მერიის თანადგომის იმედი აქვს.**

ვაჟა ლევიძე

William HILL

| ჩემპიონთა ლიგა | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი — მანჩ. იუნ. | 07.03 | 23.45 | 3,60 | 3,10 | 1,90 |
| შტურმი — ვალენსია | 07.03 | 23.45 | 2,87 | 3,10 | 2,20 |
| დეპორტივო — პსჟ | 07.03 | 23.45 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| გალათასარაი — მილანი | 07.03 | 23.45 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| არსენალი — სპარტაკი | 06.03 | 23.45 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| ლიონი — ბაიერნი | 06.03 | 23.45 | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| ლაციო — ანდერლეხტი | 06.03 | 23.45 | 1,57 | 3,50 | 5,00 |
| რეალი — ლიდსი | 06.03 | 23.45 | 1,50 | 3,60 | 5,50 |
| **უეფას თასი** | | | | | |
| ალავესი — რაიო | 08.03 | 23.30 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| კაიზერსლაუტერნი — პსვ | 08.03 | 23.30 | 2,00 | 3,20 | 3,20 |
| ბარსელონა — სელტა | 08.03 | 23.45 | 1,40 | 3,75 | 7,00 |
| პორტო — ლივერპული | 08.03 | 24.00 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| **ინგლისი. ასოციაციის თასი** | | | | | |
| ბლექბერნი — ბოლტონი | 07.03 | 23.45 | 1,83 | 3,30 | 3,75 |
| **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | |
| კრ. პალასი — ბირმინგემი | 06.03 | 23.45 | 2,80 | 3,20 | 2,20 |
| ქრიუ-შეფილდ იუნ. | 06.03 | 23.45 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ჯილინგემი — უიმბლდონი | 06,03 | 23,45 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| ჰადერსფილდი — გრიმსბი | 06.03 | 23.45 | 1,90 | 3,40 | 3,25 |
| ნორვიჩ სიტი — ვესტ ბრომიჩი | 06.03 | 23.45 | 2,30 | 3,25 | 2,62 |
| სტოკპორტი — ბარნლი | 06.03 | 23.45 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ტრანმერი — პრესტონი | 06.03 | 23.45 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| ნოტინ. ფორ. — ბარნსლი | 07.03 | 23.45 | 1,66 | 3,40 | 4,33 |
| შეფილდ უენს. — პორტსმუთი | 07.03 | 23.45 | 2,00 | 3,20 | 3,20 |
| ქპრ — უოტფორდი | 07.03 | 24.00 | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| **ინგლისი. III დივიზიონი** | | | | | |
| ჰართპული — როჩდეილი | 06.03 | 23.30 | 1,61 | 3,60 | 4,50 |
| სკანტორფი — ბრაიტონი | 06.03 | 23.30 | 2,75 | 3,25 | 2,25 |
| ბარნეტი — კარლაისლი | 06.03 | 23.45 | 1,72 | 3,50 | 4,00 |
| ბლექპული — პლიმუთი | 06.03 | 23.45 | 1,57 | 3,40 | 5,50 |
| კარდიფი — ორიენტი | 06.03 | 23.45 | 1,57 | 3,40 | 5,50 |
| ჩელტენემი — მაკლსფილდი | 06.03 | 23.45 | 1,83 | 3,30 | 3,75 |
| ჰალ სიტი — ჰალიფაქსი | 06.03 | 23.45 | 1,61 | 3,60 | 4,50 |
| კიდერმინი — ლინკოლნი | 06.03 | 23.45 | 1,72 | 3,25 | 4,33 |
| შევსბერი — მანსფილდი | 06.03 | 23.45 | 2,20 | 3,25 | 2,80 |
| თორგაი — დარლინგტონი | 06.03 | 33.45 | 2,25 | 3,25 | 2,75 |
| იორკსიტი — საუთჰენდი | 06.03 | 23.45 | 2,50 | 3,20 | 2,50 |
| **შოტლანდია. ასოციაციის თასი** | | | | | |
| აბერდინი — ლივინგსტონი | 06.03 | 23.45 | 1,72 | 3,60 | 3,75 |
| კილმარნოკი — თაისტლი | 06.03 | 23.45 | 1,36 | 3,75 | 8,00 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 07.03 | 23.45 | 1,16 | 5,50 | 12,00 |
| დანდი — ჰართსი | 07.03 | 23.45 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | |
| ეირ იუნაიტედი — ფალკირკი | 06.03 | 23.30 | 2,00 | 3,60 | 2,87 |
| მორტონი — როს ქაუნთი | 06.03 | 23.30 | 2,87 | 3,60 | 2,00 |
| **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | |
| ბერვიკი — არბროუთი | 06.03 | 23.30 | 2,25 | 3,50 | 2,50 |
| სტენჰაუსმური — ქნ. ოფ საუთი | 06.03 | 23.30 | 1,83 | 3,60 | 3,30. |


## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ევროპული საკლუბო ფეხბურთი – 10 პრინციპი

**უეფას აღმასკომის დადგენილებით საკლუბო ფეხბურთის უკეთ წარმართვის მიზნით ჩამოყალიბდა ევროპული 10 პრინციპი.**

**1. საკლუბო ფეხბურთი ეროვნულ დონეზე პროფესიული ფეხბურთის მაცოცხლებელი ძალაა, მისი მკვებავი და წყარო. საკლუბო ფეხბურთი ეროვნულ დონეზე ყოველნაირად უნდა დავიცვათ.**

**2. უეფას საკლუბო შეჯიბრებები უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ პროგრამებს — სტიმული მისცეს მას, ამასთან, არ იყოს დომინირებული, ზიანი არ მიაყენოს ეროვნულ საკლუბო ფეხბურთს.**

**3. უნდა ვაღიაროთ, დავიცვათ და ვამრავლოთ საკლუბო ფეხბურთის ტრადიციები.**

**4. გავითვალისწინოთ მოთამაშეების მოვალეობები.**

**5. შეჯიბრებები აუტენტიურები უნდა იყოს და სპორტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული.**

**6. საკლუბო ფეხბურთის მთავარი ამოცანაა მაყურებლის მოზიდვა სტადიონზე, მათთვის უსაფრთხოებისა და კომფორტული პირობების შექმნა.**

**7. ბალანსი უნდა დავიცვათ კომერციულ ინტერესებსა და ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობას შორის.**

**8. უნდა დავიცვათ სპორტული სოლიდარობა**

**9. უეფას ჩემპიონთა ლიგა საერთაშორისო საკლუბო ფეხბურთის ათვლის წერტილი უნდა გახდეს.**

**10. ევროპულ ორგანიზებულ შეჯიბრებებს და ევროპაში ჩატარებულ ტრანსეროვნული ტურნირებს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება ჰყავდეს — ეს არის უეფა.**

### „თქვენი ოცნების ნაკრები“

ასე ეწოდება კონკურსს, რომელიც გამოაცხადა მოსკოვის ჟურნალმა „ფუტბოლმა“. გულშემატკივრებს უნდა დაესახელებინათ ბოლო ათწლეულის რუსეთის სიმბოლური ნაკრები. ფეხბურთის ქომაგები მთელი ნახევარი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ რედაქციას თავიანთ ვარიანტებს, ამასთან, თითოეული ხუთ პრეტენდენტს ასახელებდა.

აი, კონკურსის შედეგი

***მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი.*** 29 596 ხმა მიიღო, შორს ჩამოიტოვა დმიტრი ხარინი და რუსეთის ნაკრების ახლანდელი მეკარეები ალექსანდრ ფილიმონოვი და რუსლან ნიგმატულინი.

***მარჯვენა მცველი ომარ თეთრაძე;*** თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა 28780 ხმა მოაგროვა და გაასწრო სერგეი გორლუკოვიჩს, რამიზ მამედოვს, ვალერი მინკოსა და ალექსანდრ შმარკოს.

***თავისუფალი მცველი ანუ ლიბერო ვიქტორ ონოპკო.*** ამ პოზიციაზე ონოპკოს სერიოზული კონკურენტი არა ჰყავს (33106 ხმა). მას აშკარად ჩამორჩნენ იური ნიკიფოროვი, იგორ ჩუგაინოვი, ახრიკ ცვეიბა.

***ცენტრალური მცველი დმიტრი ხლესტოვი.*** გულშემატკვირებმა (31614 ხმა) მას დიდი უპირატესობა მიანიჭეს ვასილი კულკოვთან, იური დროზდოვთან და სხვებთან შედარებით.

***მარცხენა მცველი იური კოვტუნი.*** აქ უპირატესობა ხისტი თამაშით ცნობილ კოვტუნს (29717 ხმა) მიეკუთვნა. მას შორს ჩამორჩნენ იგორ იანოვსკი, დმიტრი პოპოვი...

***მარჯვენა ნახევარმცველი ვალერი კარპინი.*** კარპინმა ყველა მოთამაშეთა შორის ხმების უმრავლესობა (33 619 ხმა) მიიღო. მას „შორიდან“ მისდევენ ანდრეი კანჩელსკისი, დმიტრი ალენიჩევი, იგორ კორნეევი...

***ცენტრალური ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი*** (30245 ხმა). მან გაასწრო დმიტრი ხოხლოვს, ანდრეი პიატნიცკისა და სხვებს.

***მარცხენა ნახევარმცველი ანდრეი ტიხონოვი*** ერთადერთი ნომინაციაა, სადაც მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. ტიხონოვს (27700 ხმა) მცირედით ჩამორჩა ილია ციმბალარი (26567), ხოლო მესამეზე გავიდა იგორ შალიმოვი (24768).

***შემტევი ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი*** (30232). ესპანურ „სელტაში“ მოთამაშე მოსტოვოიმ ჩამოიტოვა ამჟამად რუსეთში უძლიერესად ცნობილი ეგორ ტიტოვი (27504).

***მარჯვენა თავდამსხმელი იგორ კოლივანოვი.*** ხმების დათვლისას მორიგეობით წინაურდებოდნენ კოლივანოვი, ხან კი სერგეი იურანი. ბოლოს სულ მცირე უპირატესობით კოლივანოვმა (27353) გაასწრო იურანს (27176).

***მარცხენა თავდამსხმელი ვლადიმირ ბესჩასტნიხი.*** მას, შეიძლება ითქვას, მეტად თვალსაჩინო უპირატესობა (30196) ჰქონდა სერგეი კირიაკოვთან (22026) შედარებით.

შეიძლება ითქვას, რომ კონკურსის შედეგებით ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელებს (რომელთაც, ცხადია, გულშემატკივრები უკეთ იცნობენ) აშკარა უპირატესობა მიენიჭათ წინა თაობის წარმომადგენლებთან შედარებით.

ბიძი ბამრეკელი

### შვედი ფეხბურთელები გამდიდრდნენ

**შვედეთის პირველი დივიზიონის ფეხბურთელების შემოსავალი ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე გაორმაგდა. თუ 1995 წელს ისინი წელიწადში დაახლოებით 12 700 კრონს (1400 დოლარი) იღებდნენ, 1998 წელს ეს თანხა უკვე ორჯერ მეტი იყო. როგორც გაზეთი „გეტებორგ პოსტენი“ აღნიშნავს, ახლა ზოგიერთი ფეხბურთელი წელიწადში ერთ მილიონ კრონზე (100 ათას დოლარზე) მეტს იღებს. მართალია, არიან ისეთი მოთამაშეები, რომელთა წლიური შემოსავალი 50 ათას კრონს (5500 დოლარი) არ აღემატება.**

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ბელგია
### I დივიზიონი. XXIV ტური

| | |
|---|---|
| ლიერსი – ანდერლეხტი | 0-0 |
| მუსკრონი – ბევერენი | 0-0 |
| გენტი – შარლერუა | 1-1 |
| გენკი – ანტვერპენი | 1-1 |
| ბეერსხოტი – მეხელენი | 4-1 |
| სტანდარდი – სტ. ტრუიდენი | 1-1 |
| ლუვიე – აალსტი | 3-0 |
| ლოკერენი – ვესტერლო | 2-0 |
| ბრიუგე – ჰარელბეკე | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 24 | 19 | 5 | 0 | 68-19 | 62 |
| ბრიუგე | 24 | 17 | 6 | 1 | 65-18 | 57 |
| სტანდარდი | 24 | 12 | 8 | 4 | 55-27 | 44 |
| გენტი | 24 | 12 | 7 | 5 | 44-34 | 43 |
| ვესტერლო | 24 | 12 | 5 | 7 | 44-35 | 41 |
| ბეერსხოტი | 24 | 12 | 3 | 9 | 46-35 | 39 |
| მუსკრონი | 24 | 11 | 5 | 8 | 45-31 | 38 |
| ლოკერენი | 24 | 10 | 7 | 7 | 36-32 | 37 |
| შარლერუა | 24 | 11 | 4 | 9 | 39-42 | 37 |
| ლიერსი | 24 | 10 | 6 | 8 | 35-29 | 36 |
| ბევერენი | 24 | 8 | 7 | 9 | 22-41 | 31 |
| გენკი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-35 | 28 |
| ანტვერპენი | 24 | 7 | 4 | 13 | 26-35 | 25 |
| აალსტი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-52 | 20 |
| სტ. ტრუიდ. | 24 | 4 | 5 | 15 | 23-42 | 17 |
| ჰარელბეკე | 24 | 5 | 2 | 17 | 28-66 | 17 |
| ლუვიე | 24 | 2 | 8 | 14 | 18-44 | 14 |
| მეხელენი | 24 | 2 | 6 | 16 | 28-57 | 12 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბოავიშტა – ბელენენსეში | 2-0 |
| სალგეირუში – სპორტინგი | 2-5 |
| ამადორა – ფერეირა | 1-1 |
| ლეირია – კამპომაიორენსე | 4-1 |
| ბეირა მარი – მარიტიმუ | 2-0 |
| ავეში – გიმარაეში | 0-3 |
| ჟილ ვისენტე – ალავერკა | 1-2 |
| ბრაგა – ბენფიკა | 3-1 |
| პორტუ – ფარენსე | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 23 | 14 | 7 | 2 | 41-13 | 49 |
| სპორტინგი | 23 | 14 | 3 | 6 | 43-26 | 45 |
| პორტუ | 22 | 14 | 2 | 6 | 42-18 | 44 |
| ბენფიკა | 23 | 13 | 5 | 5 | 40-24 | 44 |
| ბრაგა | 23 | 12 | 7 | 4 | 37-27 | 43 |
| ბელენენსეში | 23 | 10 | 6 | 7 | 27-21 | 36 |
| ფერეირა | 23 | 8 | 9 | 6 | 27-19 | 33 |
| სალგეირუში | 23 | 10 | 3 | 10 | 25-25 | 33 |
| ფარენსე | 23 | 8 | 8 | 7 | 26-28 | 32 |
| ბეირა მარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-30 | 32 |
| ალვერკა | 23 | 9 | 4 | 10 | 35-36 | 31 |
| ლეირია | 23 | 7 | 10 | 6 | 27-31 | 31 |
| მარიტიმუ | 23 | 7 | 6 | 9 | 21-23 | 27 |
| გიმარაეში | 23 | 5 | 7 | 11 | 28-38 | 22 |
| კამპომაიორ. | 23 | 3 | 9 | 11 | 17-39 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 4 | 5 | 14 | 19-33 | 17 |
| ამადორა | 23 | 3 | 5 | 15 | 20-36 | 14 |
| ავეში | 23 | 2 | 7 | 14 | 19-44 | 13 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰერენვენი – გრონინგენი | 0-0 |
| ვალვაიკი – ბრედა | 0-0 |
| ტილბურგი – გრააფსხაპი | 6-0 |
| პსვ – როდა | 0-0 |
| სპარტა – ტვენტე | 5-1 |
| უტრეხტი – სიტარდი | 1-0 |
| ვიტესი – ფეიენოორდი | 0-0 |
| ნაიმეგენი – ალკმაარი | 1-1 |
| როზენდალი – აიაქსი | 1-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 17 | 6 | 1 | 49-14 | 57 |
| ფეიენოორდი | 23 | 17 | 2 | 4 | 48-19 | 53 |
| აიაქსი | 23 | 14 | 4 | 5 | 57-27 | 46 |
| ვიტესი | 23 | 11 | 6 | 6 | 41-36 | 39 |
| როდა | 23 | 11 | 5 | 7 | 41-29 | 38 |
| ვალვაიკი | 23 | 10 | 8 | 5 | 28-18 | 38 |
| ტილბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 40-33 | 34 |
| უტრეხტი | 22 | 10 | 4 | 8 | 39-34 | 34 |
| ნაიმეგენი | 23 | 6 | 12 | 5 | 30-29 | 30 |
| ბრედა | 22 | 8 | 5 | 9 | 29-34 | 29 |
| ჰერენვენი | 22 | 6 | 9 | 7 | 27-29 | 27 |
| გრონინგენი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-33 | 27 |
| ტვენტე | 22 | 7 | 6 | 9 | 34-42 | 27 |
| ალკმაარი | 23 | 7 | 6 | 10 | 34-45 | 27 |
| სპარტა | 24 | 5 | 5 | 14 | 35-47 | 20 |
| გრააფსხაპი | 23 | 5 | 2 | 16 | 28-51 | 17 |
| როზენდალი | 23 | 4 | 1 | 18 | 30-64 | 13 |
| სიტარდი | 23 | 2 | 6 | 15 | 14-47 | 12 |

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| სტ. გალენი – ლუგანო | 3-2 |
| ციურიხი – სერვეტი | 1-0 |
| სიონი – გრასჰოპერსი | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 23 |
| ლუგანო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 22 |
| გრასჰოპერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 21 |
| სერვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 20 |
| ციურიხი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 20 |
| ლოზანა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 19 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 17 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 17 |

### „ა/ბ" ჯგუფი. II ტური

| | |
|---|---|
| ივერდონი – ვინტერთური | 1-2 |
| ლუცერნი – ქსამაქსი | (გადაიდო) |
| იანგ ბოისი – არაუ | (გადაიდო) |



რეალი – ბარსელონა 2-2
მატჩის გმირი რივალდო, რომელმაც დუბლი შეასრულა

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ლიონი – ბორდო | 2-1 |
| სტრასბური – გენგამი | 0-1 |
| სედანი – ლანსი | 2-2 |
| ლილი – მარსელი | 1-0 |
| ოსერი – მონაკო | 1-0 |
| მეცი – სტ. ეტიენი | 3-0 |
| პსჟ – ტულუზი | 3-0 |
| ბასტია – ტრუა | 2-2 |
| რენი – ნანტი | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 28 | 14 | 8 | 6 | 33-19 | 50 |
| ნანტი | 28 | 15 | 5 | 8 | 45-33 | 50 |
| სედანი | 28 | 13 | 8 | 7 | 38-27 | 47 |
| ლიონი | 28 | 11 | 13 | 4 | 39-25 | 46 |
| ბორდო | 28 | 12 | 10 | 6 | 38-25 | 46 |
| ტრუა | 28 | 11 | 9 | 8 | 39-39 | 42 |
| გენგამი | 28 | 11 | 8 | 9 | 33-32 | 41 |
| ოსერი | 28 | 11 | 7 | 10 | 30-31 | 40 |
| ბასტია | 28 | 11 | 6 | 11 | 35-32 | 39 |
| რენი | 28 | 11 | 6 | 11 | 33-30 | 39 |
| პსჟ | 28 | 10 | 6 | 12 | 36-37 | 36 |
| მონაკო | 28 | 10 | 5 | 13 | 41-39 | 35 |
| ლანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 30-31 | 33 |
| მარსელი | 28 | 9 | 5 | 14 | 26-34 | 32 |
| მეცი | 27 | 7 | 9 | 11 | 27-38 | 30 |
| ტულუზი* | 28 | 5 | 10 | 13 | 26-39 | 28 |
| სტ.ეტიენი** | 28 | 8 | 7 | 13 | 35-46 | 24 |
| სტრასბ.*** | 27 | 5 | 7 | 15 | 24-51 | 19 |

*ტულუზი მომატებული აქვს სამი ქულა
**სტ. ეტიენი დაკლებული აქვს 7 ქულა
***სტრასბური დაკლებული აქვს 3 ქულა

## ინგლისი
### I დივიზიონი. XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლიდსი – მანჩესტერ იუნ. | 1-1 |
| არსენალი – ვესტ ჰემი | 3-0 |
| ქოვენთრი – ჩელსი | 0-0 |
| დერბი – ტოტენჰემი | 2-1 |
| ევერტონი – ნიუკასლი | 1-1 |
| ლესტერი – ლივერპული | 2-0 |
| მანჩესტ.სიტი – საუთჰემპტ. | 0-1 |
| მიდლსბრო – ჩარლტონი | 0-0 |
| იფსვიჩი – ბრედფორდი | 3-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 29 | 20 | 7 | 2 | 66-19 | 67 |
| არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47-29 | 53 |
| იფსვიჩი | 28 | 14 | 4 | 10 | 42-34 | 46 |
| ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47-30 | 45 |
| ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31-29 | 45 |
| ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42-37 | 44 |
| სანდერლენ. | 28 | 12 | 8 | 8 | 32-27 | 44 |
| ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 39-41 | 42 |
| საუთჰემპტ. | 28 | 11 | 8 | 9 | 33-34 | 41 |
| ჩელსი | 27 | 10 | 9 | 8 | 48-33 | 39 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-39 | 38 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33-38 | 36 |
| ვესტ ჰემი | 28 | 8 | 11 | 9 | 35-35 | 35 |
| დერბი | 29 | 8 | 10 | 11 | 30-44 | 34 |
| ასტონ ვილა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31-43 | 32 |
| მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31-35 | 28 |
| მანჩესტ.სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31-47 | 26 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26-48 | 24 |
| ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18-53 | 16 |

## ავსტრია
### XXIII ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი – გრაცერი | 0-0 |
| ზალცბურგი – ადმირა | 0-0 |
| შტურმი – რიდი | 0-1 |
| ტიროლი – ბრეგენცი | 4-1 |
| აუსტრია – რაპიდი | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 24 | 13 | 6 | 5 | 46-22 | 45 |
| რაპიდი | 23 | 12 | 6 | 5 | 44-27 | 42 |
| აუსტრია | 23 | 11 | 6 | 6 | 35-20 | 39 |
| გრაცერი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-27 | 35 |
| შტურმი | 24 | 10 | 4 | 10 | 39-32 | 34 |
| ზალცბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 32-27 | 34 |
| რიდი | 23 | 9 | 6 | 8 | 36-32 | 33 |
| ბრეგენცი | 23 | 6 | 4 | 13 | 28-48 | 22 |
| ადმირა | 23 | 4 | 6 | 13 | 18-51 | 18 |
| ლინცერი | 23 | 3 | 8 | 12 | 23-47 | 17 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXIV ტური

| | |
|---|---|
| დორტმუნდი – აინტრახტი | 6-1 |
| ჰანზა – ბაიერნი | 3-2 |
| კოტბუსი – კაიზერი | 0-2 |
| ვერდერი – ფრაიბურგი | 3-1 |
| შტუტგარტი – ვოლფსბურგი | 2-1 |
| უნტერჰახინგი – ბოხუმი | 2-1 |
| კიოლნი – ჰერტა | 1-0 |
| მიუნხენი 1860 – ლევერკუზ. | 1-0 |
| შალკე – ჰამბურგი | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 24 | 13 | 5 | 6 | 41-29 | 44 |
| ბაიერნი | 24 | 13 | 4 | 7 | 47-28 | 43 |
| შალკე | 24 | 12 | 5 | 7 | 43-26 | 41 |
| ლევერკუზ. | 24 | 12 | 4 | 8 | 40-29 | 40 |
| კაიზერი | 24 | 12 | 4 | 8 | 34-30 | 40 |
| ჰერტა | 23 | 12 | 1 | 10 | 44-40 | 37 |
| ვერდერი | 24 | 10 | 7 | 7 | 35-33 | 37 |
| ფრაიბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 31-27 | 34 |
| მიუნხენი | 24 | 9 | 7 | 8 | 31-37 | 34 |
| კიოლნი | 24 | 9 | 6 | 9 | 41-37 | 33 |
| ვოლფსბურ. | 24 | 8 | 8 | 8 | 43-33 | 32 |
| ჰანზა | 24 | 9 | 4 | 11 | 25-36 | 31 |
| ჰამბურგი | 24 | 9 | 3 | 12 | 46-45 | 30 |
| უნტერჰახ. | 23 | 7 | 6 | 10 | 23-36 | 27 |
| აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 30-46 | 27 |
| კოტბუსი | 24 | 8 | 2 | 14 | 29-41 | 26 |
| შტუტგარტი | 24 | 6 | 7 | 11 | 33-38 | 25 |
| ბოხუმი | 24 | 5 | 5 | 14 | 20-45 | 20 |

## საბერძნეთი
### XXI ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი – არისი | 1-2 |
| იანინა – ეთნიკოსი | 0-0 |
| პაოკი – პანილიაკოსი | 3-2 |
| კალამატა – იონიკოსი | 2-1 |
| ქსანთი – ოფი | 3-2 |
| პანიონისი – ათინაიკოსი | 0-0 |
| ოლიმპიაკოსი – პანათინაიკ. | 1-0 |
| პანაჰაიკი – აეკ | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 21 | 18 | 2 | 1 | 61-15 | 56 |
| პანათინაიკ. | 21 | 13 | 5 | 3 | 35-11 | 44 |
| პაოკი | 21 | 11 | 7 | 3 | 46-31 | 40 |
| აეკი | 21 | 12 | 3 | 6 | 39-27 | 39 |
| ირაკლისი | 21 | 11 | 3 | 7 | 34-26 | 36 |
| არისი | 21 | 10 | 4 | 7 | 24-22 | 34 |
| იონიკოსი | 21 | 9 | 6 | 6 | 32-28 | 33 |
| ქსანთი | 21 | 9 | 4 | 8 | 17-20 | 31 |
| პანიონისი | 21 | 4 | 10 | 7 | 22-28 | 22 |
| ეთნიკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 21-38 | 22 |
| იანინა | 21 | 5 | 6 | 10 | 27-37 | 21 |
| პანაჰაიკი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-35 | 20 |
| ათინაიკოსი | 21 | 4 | 5 | 12 | 27-41 | 17 |
| კალამატა | 21 | 3 | 8 | 10 | 28-42 | 17 |
| პანილიაკ. | 21 | 3 | 7 | 11 | 16-33 | 16 |
| ოფი | 21 | 2 | 7 | 12 | 21-40 | 13 |

## შოტლანდია
### XXX ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ. – სტ. მირენი | 4-0 |
| კილმარნოკი – აბერდინი | 0-0 |
| რეინჯერსი – ჰართსი | 2-0 |
| სტ. ჯონსტონი – დანდი | 2-3 |
| დანფერმლაინი – სელტიკი | 0-3 |
| ჰიბერნიანი – მოზერუელი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 29 | 24 | 4 | 1 | 75-22 | 76 |
| რეინჯერსი | 28 | 20 | 3 | 5 | 56-25 | 63 |
| ჰიბერნიანი | 29 | 17 | 9 | 3 | 51-20 | 60 |
| კილმარნოკი | 29 | 13 | 6 | 10 | 34-36 | 45 |
| ჰართსი | 29 | 11 | 6 | 12 | 45-43 | 39 |
| დანფერმლ. | 30 | 10 | 7 | 13 | 28-44 | 37 |
| მოზერუელი | 30 | 10 | 6 | 14 | 35-43 | 36 |
| დანდი | 28 | 9 | 6 | 13 | 40-37 | 33 |
| სტ. ჯონსტ. | 28 | 7 | 10 | 11 | 29-41 | 31 |
| აბერდინი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-40 | 28 |
| დანდი იუნ. | 29 | 4 | 6 | 19 | 25-52 | 18 |
| სტ. მირენი | 30 | 4 | 3 | 23 | 19-62 | 15 |


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

ალია

სარბიელი

ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-6 გვ.)


## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXV ტური

| | |
|---|---|
| მალიორკა – დეპორტივო | 2-1 |
| სოსიედადი – რაიო ვალეკა. | 2-0 |
| სარაგოსა – ვალენსია | 1-1 |
| რეალი – ბარსელონა | 2-2 |
| ესპანიოლი – ალავესი | 0-0 |
| სელტა – ოვიედო | 1-0 |
| ოსასუნა – ვალიადოლიდი | 2-1 |
| ნუმანსია – რასინგი | 1-0 |
| ლას-პალმასი – ბილბაო | 0-0 |
| ვილიარეალი – მალაგა | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 16 | 5 | 4 | 56-29 | 53 |
| დეპორტივო | 25 | 14 | 6 | 5 | 48-28 | 48 |
| ვალენსია | 25 | 13 | 7 | 5 | 40-18 | 46 |
| ბარსელონა | 25 | 13 | 5 | 7 | 53-36 | 44 |
| მალიორკა | 25 | 11 | 8 | 6 | 35-32 | 41 |
| ვილიარეალი | 25 | 11 | 5 | 9 | 33-29 | 38 |
| ალავესი | 25 | 10 | 5 | 10 | 34-31 | 35 |
| რაიო | 25 | 8 | 10 | 7 | 43-40 | 34 |
| მალაგა | 25 | 10 | 4 | 11 | 39-39 | 34 |
| ბილბაო | 25 | 9 | 7 | 9 | 33-36 | 34 |
| ესპანიოლი | 25 | 9 | 5 | 11 | 31-28 | 32 |
| ვალიადოლ. | 25 | 7 | 11 | 7 | 29-29 | 32 |
| სელტა | 25 | 8 | 8 | 9 | 30-35 | 32 |
| ლას პალმასი | 25 | 9 | 5 | 11 | 25-41 | 32 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 10 | 8 | 36-35 | 31 |
| ოვიედო | 25 | 8 | 3 | 14 | 31-46 | 27 |
| ნუმანსია | 25 | 7 | 5 | 13 | 25-41 | 26 |
| სოსიედადი | 25 | 6 | 6 | 13 | 28-50 | 24 |
| ოსასუნა | 25 | 5 | 8 | 12 | 27-39 | 23 |
| რასინგი | 25 | 5 | 5 | 15 | 28-42 | 20 |

## ჩეხეთი
### XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი – სლავია | 1-1 |
| ტეპლიცე – ჟიჟკოვი | 1-2 |
| პრჟიბრამი – ბლშანი | 3-0 |
| ბანიკი – ბუდეიოვიცე | 2-0 |
| ბოჰემიანსი – დრნოვიცე | 0-3 |
| პლზენი – სინოტი | 1-0 |
| სიგმა – ბრნო | 3-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 17 | 14 | 1 | 2 | 43-14 | 43 |
| სიგმა | 18 | 9 | 6 | 3 | 34-17 | 33 |
| პრჟიბრამი | 18 | 9 | 4 | 5 | 29-19 | 31 |
| ჟიჟკოვი | 18 | 8 | 5 | 5 | 29-27 | 29 |
| ლიბერეცი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-24 | 28 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 3 | 6 | 29-20 | 27 |
| სინოტი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-21 | 25 |
| სლავია | 17 | 6 | 7 | 4 | 23-20 | 25 |
| დრნოვიცე | 18 | 6 | 5 | 7 | 19-20 | 23 |
| ბოჰემიანსი | 18 | 5 | 7 | 6 | 24-26 | 22 |
| იაბლონეცი | 17 | 4 | 7 | 6 | 16-24 | 19 |
| ბანიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 18-30 | 19 |
| ბლშანი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-25 | 17 |
| ბრნო | 18 | 5 | 2 | 11 | 16-25 | 17 |
| ბუდიოვიცე | 18 | 3 | 6 | 9 | 22-37 | 15 |
| პლზენი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-37 | 12 |

## იტალია
### სერია A. XXI ტური

| | |
|---|---|
| რეჯინა – ბოლონია | 2-1 |
| ბრეშა – ლაციო | 0-1 |
| ვერონა – ატლანტა | 2-1 |
| ბარი – ფიორენტინა | 2-1 |
| უდინეზე – იუვენტუსი | 0-2 |
| ნაპოლი – ლეჩე | 1-1 |
| მილანი – პარმა | 2-2 |
| პერუჯა – ვიჩენცა | 1-0 |
| რომა – ინტერი | 3-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 21 | 16 | 3 | 2 | 41-16 | 51 |
| იუვენტუსი | 21 | 13 | 6 | 2 | 38-15 | 45 |
| ლაციო | 21 | 13 | 4 | 4 | 40-23 | 43 |
| პარმა | 21 | 9 | 6 | 6 | 31-20 | 33 |
| ატლანტა | 21 | 8 | 8 | 5 | 24-18 | 32 |
| მილანი | 21 | 7 | 8 | 6 | 32-34 | 29 |
| პერუჯა | 21 | 8 | 5 | 8 | 26-28 | 29 |
| ინტერი | 21 | 7 | 7 | 7 | 25-25 | 28 |
| უდინეზე | 21 | 9 | 1 | 11 | 34-35 | 28 |
| ბოლონია | 21 | 8 | 4 | 9 | 26-28 | 28 |
| ფიორენტინა | 21 | 6 | 9 | 6 | 34-30 | 27 |
| ლეჩე | 21 | 6 | 8 | 7 | 26-32 | 26 |
| ბრეშა | 21 | 4 | 9 | 8 | 24-29 | 21 |
| ნაპოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-33 | 21 |
| ვერონა | 21 | 5 | 6 | 10 | 27-39 | 21 |
| ვიჩენცა | 21 | 5 | 5 | 11 | 20-33 | 20 |
| რეჯინა | 21 | 5 | 3 | 13 | 17-35 | 18 |
| ბარი | 21 | 4 | 4 | 13 | 18-33 | 16 |

## თურქეთი
### XXIII ტური

| | |
|---|---|
| გენჩლერბირლ. – ტრაბზონი | 0-2 |
| ანთალია – ადანა | 2-1 |
| იეთფა – გაზიანთეფი | 1-2 |
| იოზგათი – ფენერბახჩე | 2-3 |
| სამსუნი – ბურსა | 2-0 |
| რიზე – დენიზლი | 2-1 |
| ქოჯაელი – ერზრუმი | 1-0 |
| ბეშიქთაში– ანკარაგიუჯიუ | 4-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 23 | 17 | 3 | 3 | 60-26 | 54 |
| გალათასარაი | 22 | 14 | 4 | 4 | 47-20 | 46 |
| გაზიანთეფი | 23 | 13 | 7 | 3 | 45-26 | 46 |
| ბეშიქთაში | 23 | 14 | 4 | 5 | 50-36 | 46 |
| ტრაბზონი | 23 | 11 | 5 | 7 | 46-34 | 38 |
| სამსუნი | 23 | 10 | 6 | 7 | 38-32 | 36 |
| გენჩლერბირ. | 23 | 10 | 3 | 10 | 30-33 | 33 |
| ანკარა | 23 | 8 | 8 | 7 | 35-41 | 32 |
| რიზე | 23 | 9 | 4 | 10 | 30-25 | 31 |
| ანთალია | 23 | 8 | 7 | 8 | 33-36 | 31 |
| ისთანბული | 22 | 8 | 6 | 8 | 29-30 | 30 |
| დენიზლი | 23 | 7 | 8 | 8 | 30-36 | 29 |
| იოზგათი | 23 | 6 | 8 | 9 | 32-32 | 26 |
| ბურსა | 23 | 6 | 6 | 11 | 34-44 | 24 |
| ქაჯოელი | 23 | 5 | 8 | 10 | 29-41 | 23 |
| ადანა | 23 | 2 | 9 | 12 | 34-48 | 15 |
| ერზრუმი | 23 | 3 | 4 | 16 | 24-58 | 13 |
| იეთფა | 23 | 2 | 6 | 15 | 25-53 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანკეტა

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:**

1. საუკეთესო ფეხბურთელი ____________
2. საუკეთესო მეკარე ____________
3. საუკეთესო მცველი ____________
4. საუკეთესო ნახევარმცველი ____________
5. საუკეთესო თავდამსხმელი ____________
6. საუკეთესო მწვრთნელი ____________
7. საუკეთესო მსაჯი ____________
8. საუკეთესო გუნდი ____________
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ____________

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

**WWW. gff. ge – ვებ გვერდი** **gff access. sanet.ge - E-mail**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ითამაშებენ ვერონი და ნესტა „რეალში"

მიუხედავად იმისა, რომ „რეალის" ვალმა 250 მილიონ დოლარს გადააჭარბა, სამეფო კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, კვლავ აპირებს ახალი ფეხბურთელების შეძენას — ამჯერად ლაპარაკია „ლაციოს" ნახევარმცველის ხუან სებასტიან ვერონისა და მცველის ალესანდრო ნესტას გადმობირებაზე.

ბევრს მიაჩნია, რომ ამ ფეხბურთელების ტრანსფერის განხორციელებას დაუღალავი პერესი ვერ შეძლებს, მაგრამ ხომ გახსოვთ „ბარსელონას" ლიდერის ლუიშ ფიგუს მაგალითი: თქვა „რეალის" პრეზიდენტმა ვიყიდიო და აღასრულა კიდევაც თავისი ჩანაფიქრი, როცა კატალონიურ კლუბს სარეკორდო 56 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ვერონის ყიდვა „რეალს" მართლაც შეუძლია, ვინაიდან მისი სატრანსფერო თანხა 30 მილიონი დოლარი ესპანელებისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. სულ სხვა სიტუაციაა ალესანდრო ნესტას მიმართებაში. თუ „ლაციო" დათანხმდა ამ გარიგებაზე, თავის მცველს 45 მილიონზე ნაკლებად არ გაყიდის, თანაც იტალიელებმა დამატებით შეიძლება პერესს თავისი გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის დათმობა მოსთხოვონ. და მაინც, პერესმა თუ ჩაიფიქრა, აღასრულებს კიდეც, მას არაფერი შეაჩერებს. აი, ამის შემდეგ კი სამეფო კლუბი მართლაც რომ უძლეველი გახდება!

## კაფუ, ეტყობა, კონტრაქტს დაარღვევს

**„რომასა" და ბრაზილიის ნაკრების ცნობილი მცველი მარკუშ დე მორაიში, რომელსაც კაფუს უწოდებენ, აცხადებს, რომ ლონდონის „ჩელსიში" სურს კარიერის გაგრძელება. კაფუს კონტრაქტი „ჩელსისთან" 2003 წელს დასრულდება, მაგრამ ინგლისელებს მისი გამოსყიდვა უნდათ.**

**„ჩელსი" ერთადერთი კლუბი როდია, რომელსაც კაფუს დაუფლება სწადია, იგივეს აპირებდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული", მაგრამ „არისტოკრატები" მეტ შეუპოვრობას იჩენენ. „რომას" არ უნდა გამოეთხოვოს ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს, მაგრამ „ჩელსი", რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი ფინანსური შესაძლებლობა აქვს, რომაელებს უზარმაზარ თანხას სთავაზობს. მისი ზუსტი ოდენობა სულ მალე კლუბების წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ დადგინდება. აქ, ცხადია, იმასაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით კაფუმ გამოთქვა ინგლისში თამაშის სურვილი.**

## აკოსტამ პოსტი დატოვა

როგორც ცნობილია, ჩილეს ეროვნული ნაკრები წარუმატებლად გამოდის მუნდიალი-2002-ის შესარჩევ ტურნირში. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა მისმა მთავარმა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ულაპარაკოდ დააკმაყოფილა აკოსტას მოთხოვნა.

შეგახსენებთ, რომ აკოსტა ჩილეს ნაკრებს სათავეში ედგა 1996 წლიდან. მან გუნდი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში გაიყვანა, ხოლო წელს სიდნეიში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლები მოაპოვებინა.

## ფრე „რეალის" სასარგებლოდ

**შაბათს მადრიდში დიდი ფეხბურთი გაჩაღდა. სამეფო კლუბის დაუძინებელმა მოქიშპემ — „ბარსელონამ", რომელიც აქამდე 9 ქულით ჩამორჩებოდა, ძალიან კი მოინდომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.**

**ანგარიში მატჩის დასაწყისშივე, მე-6 წუთზე რაულმა გახსნა, ზუსტად ნახევარ საათში რივალდომ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ერთ წუთში იგივე რაულმა წინ გაიყვანა მასპინძლები.**

**მეორე ტაიმი კატალონიური გუნდის უპირატესობით წარიმართა. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე რივალდომ საწადელს მიაღწია. ეს იყო და ეს, მიუხედავად სტუმართა გუნდის აქტიურობისა, ანგარიში არ შეცვლილა — 2-2. ამ შედეგით სამეფო კლუბმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ოქროს მედლებისაკენ.**

## ამერიკა გაუქალიანდა

ნათქვამია, დრონი მეფობენ და არა მეფენიო — ამერიკელებს არასდროს მიაკუთვნებდნენ საფეხბურთო ელიტას, მიუხედავად ამისა, გუშინ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა კალიფორნიის ქალაქ პასადენაში გამართულ ამხანაგურ მატჩში ძლივს მოუგეს ჩრდილოამერიკელებს. ბრაზილიელმა რონალდინიომ 25-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მალე მასპინძელმა მატისმა შორეული დარტყმით წონასწორობა აღადგინა, მეორე ტაიმში სამხრეთამერიკელმა ელერმა გამარჯვების გოლი გაიტანა 2-1.

## ახალი სკანდალი „ფიორენტინაში"

**სულ ახლახან „ფიორენტინადან" წავიდა თურქი მწვრთნელი ფატიჰ თერიმი, ახლა კი გუნდის დატოვებას უკვე თავად ფეხბურთელები ლამობენ. პორტუგალიელმა რუი კოშტამ, რომელიც ფლორენციული კლუბის ღირსებას უკვე 7 წელია იცავს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოთამაშეებს ოთხი თვეა არ მიუღიათ გასამრჯელო. მიუხედავად ამისა, კრინტი არავისთან დაგვიძრავს და საქმის კეთებას განვაგრძობდით, მაგრამ ხომ აქვს ყველაფერს საზღვარიო. პორტუგალიელი ლეგიონერის განცხადებას კლუბის მეპატრონეები არ გამოეხმაურნენ — ისინი უკვე რამდენიმე დღეა გაურბიან ჟურნალისტებთან კონტაქტს. როგორც ეტყობა, „ფიორენტინაში" ახალი სკანდალი დაიწყო.**

# ტაფარელს 17 შვილი ჰყავს...




**ბრაზილიელი მეკარე კლაუდიო ანდრე ტაფარელი ფრიად პოპულარული ფიგურაა ფეხბურთის სამყაროში. იგი დაიბადა ბრაზილიურ ქალაქ სანტა როზაში 1966 წლის 5 აგვისტოს. 182 სმ. სიმაღლისაა, 80 კგ იწონის. თამაშობდა „ინტერნასიონალში" (პორტუ-ალეგრი), შემდეგ კი გადაბარგდა ევროპაში, გამოდიოდა „პარმაში" (1990-1993), „რეჯინაში" (1993-1994), მადრიდის „ატლეტიკოში" (1995-1998). 1998 წლიდან მოყოლებული, სტამბოლის „გალათასარაიშია". აი, მისი სპორტული მიღწევები: 1984 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის, 1985 წელს — მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1988 წელს — ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, 1989 და 1997 წლებში — კოპა ამერიკის მფლობელი, 1992 და 2000 წლებში — უეფას თასის მფლობელი, 1994 წელს — თასების თასის მფლობელი, 1994 წელს — მსოფლიო ჩემპიონი, 1998 წელს — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. 1999 და 2000 წლებში თურქეთის თასის მფლობელი და ჩემპიონი გახდა.**

გთავაზობთ ნაწყვეტებს ტაფარელის ვრცელი ინტერვიუდან. მას ესაუბრება ბრაზილიელი ჟურნალისტი რიკარდო სეტიონი.

● ***თქვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მეკარე ხართ. მაგრამ ყველამ როდი იცის, როგორი გზა გაიარეთ ფეხბურთის მწვერვალებამდე. სად დაიწყეთ თამაში, სადაური ხართ?***

— დავიბადე პატარა ქალაქ სანტა როზაში, რომელიც პორტუ-ალეგრიდან 500 კილომეტრით არის დაშორებული. ამ რეგიონში იტალიიდან და გერმანიიდან ჩამოსული არაერთი ემიგრანტი სახლობს, ამიტომ ჩემნაირი ქერათმიანები იქ საკმაოდ მრავლად გვხვდებიან. ახლაც ზოგს, რომელმაც არაფერი იცის ჩემი ნამდვილი პროფესიის შესახებ, ფერმერი ვგონივარ.

სანტა როზაში ძალზე პოპულარულია ფრენბურთი. ჩემი ნათესავები და მეგობრები ამ თამაშით ძალიან გატაცებული იყვნენ. არც მე ვიყავი გამონაკლისი. ბავშვობაში ფრენბურთი ისე მიზიდავდა, რომ სხვა აღარაფერი მახსოვდა. იმ პერიოდში მე გარკვეული წარმატებებიც მქონდა, მაგრამ ბოლოს მაინც ფეხბურთმა გადამძლია. მაშინ 10 თუ 11 წლისა ვიყავი, აზრი შევიცვალე და ახლა უკვე ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ვის შეეძლო მაშინ ეფიქრა, რომ ფეხბურთის საიდუმლოებების ნელ-ნელა დაუფლებით მე ასეთ სიმაღლეებს მივაღწევდი.

მალე გუნდში მიმიღეს, რომელსაც „კრუსიუმალი" ერქვა. საინტერესოა, რომ მე ერთბაშად ამ გუნდის ორ შემადგენლობაში ვთამაშობდი, ერთში ნახევარმცველად და ზოგჯერ თავდამსხმელად, მეორეში კი მეკარედ. ასე გაგრძელდა 18 წლის ასაკამდე, როცა თვით კრუსიუმალის მერმა მიმავლინა პორტუ-ალეგრიში. ჩავირიცხე „ინტერნასიონალში", ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახელგანთქმულ კლუბში. ძალიან გამიმართლა. იმ დროს კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შემადგენლობის გადახალისება და გაძლიერებით ეძებდა ახალ ნიჭიერ ფეხბურთელებს.

● ***როგორ ჩაიარა თქვენთვის გამოცდებმა?***

— ვარჯიშის დროს თავს მეტისმეტად მშვიდად ვგრძნობდი, რაც ხელს მიშლიდა. მინდოდა „ინტერნასიონალის" ყველაზე ცნობილ ფეხბურთელებს დავახლოვებოდი, როგორიც იყო რობერტო ფალკაო. ჩემს გარშემო კი ისეთივე ჭაბუკები ტრიალებდნენ, როგორიც მე ვიყავი. მინდოდა, რაც შეიძლება მალე დავწინაურებულიყავი. მამაჩემს (იგი 5 წლის წინათ გარდაიცვალა) არა სჯეროდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ნამდვილი ფეხბურთელი გამოვიდოდი. აი, დედა კი ყოველმხრივ მეხმარებოდა და სწამდა ჩემი მომავალი წარმატებისა. ისე რომ, ყველაფრისათვის, რასაც კი ცხოვრებაში მივაღწიე, პირველ რიგში, მისი მადლიერი უნდა ვიყო.

● ***რამდენ ხანს დარჩით პორტუ — ალეგრიში?***

— ჩვენი შემოწმება სამ დღეს გაგრძელდა. ბოლოს ისე გადავიქანცე, რომ ვეღარც კი მცნობდნენ. ისე კი, ღირდა თავის შეწუხება. ძალიან მინდოდა პროფესიული კლუბის მეკარეობა, ბევრი ფული მქონდა და ფერმერის ჯოჯოხეთური შრომა სამუდამოდ დამევიწყებინა.

უკვე პირველი დღის ბოლოს მე მითხრეს, რომ „ინტერნასიონალში" მტოვებდნენ და ამიერიდან ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლებოდა, შემდეგ, როცა სანტა როზაში ვბრუნდებოდი, მთელი ქალაქი შემომეგება რკინიგზის სადგურში. ხალხს უნდოდა მომავალ გმირს მისალმებოდა. იმ დღეს რა დამავიწყებს...

● ***ისე რომ, პროფესიული კლუბის გოლკიპერი გახდით.***

— დიახ. არც ერთი ხმელეთის ფეხბურთელები არ ვარჯიშობენ ისე შეუპოვრად, როგორც მეკარეები. გარდა ამისა, ეს ხომ ერთადერთი პოზიციაა, სადაც ფეხბურთელს შეცდომის უფლება არა აქვს. თუკი შეცდომა მოგვდის, ყველაფერს ხომ ჩვენ გვაბრალებენ. ერთი სიტყვით, არ მინდა ერთხელ კიდევ იმის გამეორება, თუ რა ძნელია მეკარეობა.

● ***დიახ, ესეც ვთქვათ. ამასთან, თქვენ ხომ მარტო ფეხბურთით არა ხართ დაკავებული, დიდ დროს ანდომებთ ქველმოქმედებასაც.***

— დიახ. როცა მე „პარმაში" ვთამაშობდი, ყველა ასე იქცეოდა. მე სათანადო კონტაქტები დავამყარე და ღარიბ ბრაზილიელ ბავშვებს ვეხმარებოდი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე მეშვილებინა ერთ-ერთი ასეთი ბავშვი და ამ მიზნით ჩრდილოეთ ბრაზილიაში გავემგზავრე. მე რვა ბავშვი მაჩვენეს, რომლებსაც ძალზე ესაჭიროებოდათ მშობლიური მზრუნველობა. მეც ავდექი და რვავე ვიშვილე. შემდეგ ჩემს მიერ ნაშვილებთა რიცხვმა თხუთმეტს მიაღწია!

● [illegible]

— [illegible] — 6 წლის



კლაუდიო ანდრესა და 7 წლის კატერინას, ისე 15 ნაშვილებს ვიმეორებ, ჩემს ოჯახურ ცხოვრებაში ნამდვილად ბედნიერი ვარ, მე მთლიანად მიდგას მხარში მეუღლე ანდრეა, რომელიც ჟურნალისტია. იმაზე მშვენიერი რაღა უნდა იყოს, როცა ყველა ჩემი შვილი დისნეილენდში მიმყავს. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს თევზაობა, მიყვარს კარგი სმაჭამა, ამასთან, უპირატესობას იტალიურ სამზარეულოს ვანიჭებ. ისე კი, ვერაფერი მზარეული ვარ, საჭმელებს, კვერცხისა და ხორცის გარდა, ვერ ვამზადებ. ძალიან მეჯავრება კომპიუტერები. ბავშვობიდანვე შევიჯავრე ტელევიზორი, ეს აზრი არც ახლა შემიცვლია. ძალიან მიყვარს უცხო ენები, თუმცა მათი დასწავლის დიდი ნიჭი არა მაქვს. ვლაპარაკობ იტალიურად და ცოტაოდენს ინგლისურადაც.

● ***როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებდით, მეკარე რომ არ გამოსულიყავით?***

— არასდროს ამაზე ჟურნალისტებთან არ მილაპარაკია, ისე კი, ძალიან მინდოდა არმიაში მემსახურა. სამხედრო საქმე ყოველთვის მიზიდავდა. თუმცა ამაში უცნაური არაფერია. მამაჩემს 6 ძმა ჰყავდა და ყველა სამხედრო იყო. მხოლოდ მამაჩემმა აირჩია სხვა სპეციალობა.

● ***ბრაზილიაში ჭაბუკი ფეხბურთელები გოლების გატანაზე ოცნებობენ, თავდასხმაში, ან, უარეს შემთხვევაში, შუა ხაზზე თამაშზე. ისე რომ, ბრაზილიაში მეკარედ გახდომა სრულიადაც არ არის ძნელი, სხვა საკითხია ისეთი წარმატება, თქვენ რომ გხვდათ წილად.***

— მართალს ბრძანებთ. ბრაზილიაში თითქმის ყველას მეათე ნომრით უნდა თამაში.

ფეხბურთის საკითხებში ყველა ერკვევა, ისე რომ, კრიტიკოსებიც არ გვაკლია. მე უკვე ვთქვი, რომ მეკარის შეცდომის დანახვა ადვილია, შეიძლება სიძულვილიც დაიმსახურო. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი შეხედულება ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ეს ხომ არასწორია. ევროპაში კარგა ხანია გავრცელებულია აზრი, რომ ბრაზილიას არა ჰყავს კარგი მეკარეები. ეს ხომ სრული გაუგებრობაა. იმედი მაქვს, რომ შევცვალე ეს აზრი.

● ***მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ბრაზილიელებმა პენალტების სერიით იტალიელებს მოუგეს, თქვენ ყველამ ნამდვილ გმირად გაღიარა. ამის მსგავსი რამ 6 წლის შემდეგაც მოხდა, როცა „გალათასარაის" შემადგენლობაში უეფას თასს დაეუფლეთ. თურქეთის კლუბებს ხომ ამის მსგავსი წარმატებისათვის არასოდეს მიუღწევიათ...***

— მე ვთვლი, რომ ეს არასწორი აზრია. ასე თვლიან: აიღე პენალტი, გმირი ხარ, გაუშვი უაზრო გოლი — სუსტი მეკარე ხარ. მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი: 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრებმა სულ ერთი მატჩი წააგო: ბოლივიელებთან ლა-პასში. ამ შეხვედრაში მე 11-მეტრიანი მოვიგერიე. ერთმა ჟურნალისტმა აღიარა, რომ ამ მომენტში თავისი სტატიისათვის სათაური მოიფიქრა: „ტაფარელი — გმირი". ეს შეხვედრა ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, წავაგეთ, რეპორტიორმა კი ასე შეცვალა სათაური: „ტაფარელი — გმირიდან სრულ ჩავარდნამდე".

● ***გვახსოვს, საკმაოდ მალე, მას შემდეგ, რაც ბრაზილია 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, აქედან ერთ-ერთი ეკლესიის გუნდში ითამაშეთ.***

— დიახ, ასე იყო. მაშინ ჩვენ ყველამ ძალიან ვიმხიარულეთ. იტალიის ჩემპიონატის მატჩში იმდროინდელი წესებით, სამ უცხოელზე მეტის თამაში არ შეიძლებოდა. „პარმამ" გადაწყვიტა თამაშზე ასპრილია, ბრულინი და გრიუნი გამოეყვანა სათამაშოდ, მე კი სათადარიგოთა სკამზე აღმოვჩნდი. ასე ვუყურებდი პარტნიორებს და თამაში მენატრებოდა. აი სწორედ მითხრა ერთმა მეგობარმა, ხომ არ ვითამაშებდი ერთ-ერთ შეჯიბრებაში სან-პრისპეროს ეკლესიის გუნდში. ჯერ ერთი, მე მორწმუნე ადამიანი ვარ, ამასთან, თამაშიც ძალიან მინდოდა. დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ თავდასხმაში გამოვიდოდი. ჩვენ გავიმარჯვეთ კიდეც ამ ტურნირში, მე საუკეთესო სნაიპერი გავხდი, ამასთან, ფინალური მატჩი რეჯიო-ემილიის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გადასცა.

● ***თურქეთში თავს ბედნიერად გრძნობთ?***

— დიახ, ძალიან ბედნიერად. ეს ქვეყანა ჩემთვის მეორე სახლად იქცა. ბევრი მეგობარი შევიძინე, ხოლო „გალათასარაის" შემადგენლობაში უეფას თასის მოგება ჩემი ბიოგრაფიის მეტად საყურადღებო ნაწილად იქცა. ისე კი ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩემი სტამბოლური კარიერა მთლიანად ვარდებით იყო მოფენილი. აქაც მინახავს ადამიანური ტკივილი და წუხილი. ეს განსაკუთრებით მიწისძვრის დროს იყო, რომელმაც ბევრი სიცოცხლე შეიწირა.

● ***თქვენ თვითონ რა განიცადეთ იმ საშინელ დღეს?***

— მახსოვს, ბიძგები ღამის სამ საათზე დაიწყო. ჩვენ გვეძინა ბინაში, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე. მეორე სართულზე ჩემი თანაგუნდელი რუმინელი გეორგე პოპესკუ ცხოვრობდა, რომელიც იმ საშინელ დღეს შინ არ იყო. მე საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა. კედლებიდან ყველაფერი ცვიოდა — სურათები, ბოთლები, იატაკი და კედლები ირყეოდა. შემეშინდა, მაგრამ მალე გამოვერკვიე. მე და მეუღლე ბავშვების ოთახისაკენ გავექანეთ, მერე კი ქუჩაში გავვარდით. შემდეგ ყველანი „გალათასარაის" ოფისში გადავბარგდით.

● ***მიწისძვრის შემდეგ თქვენ ერთხანს აუზშიც კი ცხოვრობდით...***

— დიახ, რამდენიმე დღე იქ გავატარეთ. შემდეგ შინ დავბრუნდით, მალე კი ახალ ბინაზე გადავედით ძალიან კარგ სახლში.

● ***როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?***

— რაც შეიძლება მეტხანს მინდა ვითამაშო ფეხბურთი. შემდეგ კი ერთ ან ორ რესტორანს გავხსნი ევროპასა და ბრაზილიაში. მე ხომ ჭამა ძალიან მიყვარს...

# სპორტული პლანეტა

## ნბა:
## „ბოსტონი" – პირველი მარცხი შვიდ საშინაო მატჩში




ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში გუშინ 8 მატჩი გაიმართა. ბოსტონში ადგილობრივმა „სელტიკსმა" შვიდ საშინაო შეხვედრაში პირველი მარცხი იწვნია — შარლოტელმა მეშბერნმა და მისმა თანაგუნდელებმა აშკარად დაჯაბნეს მასპინძელი სნაიპერები ეოკერი და პირსი. აშკარად არ გამოუვიდა თამაში „სელტიკსის" ცენტრალურ თავდამსხმელს პოტაპენკოსაც, რომელმაც 20 წუთის განმავლობაში, რაც მოედანზე დაჰყო, მხოლოდ 6 ქულა მოითვალა. საბოლოოდ მასპინძლები დამარცხდნენ ანგარიშით 97:116.

***სხვა მატჩები:*** ტორონტო — ნიუ-იორკი 98:88, დეტროიტი — ორლანდო 93:84, ინდიანა — ნიუ-ჯერსი 96:120, ვაშინგტონი — იუტა 98:118, მინესოტა — სიეტლი 119:113, კლივლენდი — მაიამი 79:91, ლეიკერსი — გოლდენ სტეიტი 110:95.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 60 | 44 | 16 | 73,3 |
| მაიამი | 60 | 36 | 24 | 60,0 |
| ნიუ-იორკი | 59 | 34 | 25 | 57,6 |
| ორლანდო | 58 | 31 | 27 | 53,4 |
| ბოსტონი | 60 | 26 | 34 | 43,4 |
| ნიუ-ჯერსი | 61 | 21 | 40 | 34,4 |
| ვაშინგტონი | 60 | 13 | 47 | 21,7 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მილუოკი | 58 | 36 | 22 | 62,1 |
| შარლოტი | 60 | 34 | 26 | 56,7 |
| ტორონტო | 60 | 33 | 27 | 55,0 |
| ინდიანა | 57 | 26 | 31 | 45,6 |
| კლივლენდი | 58 | 22 | 36 | 37,9 |
| დეტროიტი | 59 | 22 | 37 | 37,3 |
| ატლანტა | 60 | 18 | 42 | 30,0 |
| ჩიკაგო | 58 | 10 | 48 | 17,2 |

### დასავლეთის კონფერენცია

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 58 | 40 | 18 | 68,9 |
| სან-ანტონიო | 58 | 39 | 19 | 67,2 |
| დალასი | 59 | 37 | 22 | 62,7 |
| მინესოტა | 60 | 36 | 24 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 60 | 32 | 28 | 53,3 |
| დენვერი | 61 | 30 | 31 | 49,2 |
| ვანკუვერი | 60 | 18 | 42 | 30,0 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 60 | 42 | 18 | 70,0 |
| ლეიკერსი | 58 | 39 | 19 | 67,2 |
| საკრამენტო | 57 | 38 | 19 | 66,7 |
| ფინიქსი | 58 | 35 | 23 | 60,3 |
| სიეტლი | 61 | 31 | 30 | 50,8 |
| კლიპერსი | 62 | 21 | 41 | 33,9 |
| ნოლდენ სტეიტი | 60 | 16 | 44 | 26,7 |

**პროფესიული კრივი**

## ჯონი რუისი ადამიან-ლეგენდას ამარცხებს


რუისი

აკი, გაფრთხილებდით, კრივის მოყვარულებო, ყურადღებით ყოფილიყავით — შაბათს ლას-ვეგასში დიდი კრივი იგეგმებოდა. ასეც მოხდა: 12 ათასი მაყურებლის თვალწინ, ჯონი რუისი გახდა პირველი ლათინოამერიკელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა მძიმე წონაში — მან ქულებით დაამარცხა თავად ევანდერ ჰოლიფილდი.

თავიდან ჰოლიფილდი უმნიშვნელო უპირატესობას ინარჩუნებდა, მეტოქე კი ეშმაკურად იქცეოდა და ძალას ზოგავდა. მეცხრე რაუნდში ჩემპიონი გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა, ერთი მაგრად მოიქნია და წელს ქვემოთ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მეტოქეს ჩააზილა. რუისი დაბარბაცდა, მაგრამ არბიტრმა მყისვე შეაჩერა ბრძოლა და წესების დარღვევისათვის ქულა მოუხსნა ჰოლიფილდს. ეს იყო ბრძოლის კულმინაციური მომენტი. რუისი თითქოს გამოფხიზლდაო, ახლა უკვე იგი უტევდა და მეთერთმეტე რაუნდში ევანდერი ნოკდაუნში გაგზავნა. ორთაბრძოლის ბოლო რაუნდში ჰოლიფილდს დრო აღარ ეყო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამით ჰოლიფილდის 17-წლიან სპორტული კარიერა დასრულდა, იგი უკვე ისეთ ასაკშია, რომ საეჭვოა დაიბრუნოს ჩემპიონის ტიტული.

ახალი მსოფლიო ჩემპიონი ამ გამარჯვებისთვის მილიონ დოლარს მიიღებს. იტყობინებიან, რომ ჩემპიონის ტიტულის დაცვა მას ივნისში მოუწევს პეკინში. ამჯერად მისი მეტოქე მაიკ ტაისონი ქნება.

**მძლეოსნობა**

## კენიელი ვის დაუთმობს კროსს?

მსოფლიოს უძლიერესი კროსმენები ამ დღეებში იტალიის ტრადიციულ ტურნირში გამოვიდნენ. ქალები რვაკილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ოქროს მედლის მფლობელი გახდა იუგოსლაველი ოლივერა ევტიჩი.

ვაჟებში თორმეტკილომატრიან მანძილზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას კენიელმა მორბენალმა ჩარლზ კამატიმ აჯობა.

## თავისივე მსოფლიო რეკორდი გაიმეორა

ატლანტაში მიმდინარე აშშ-ს მძლეოსანთა ჩემპიონატში მორის გრინმა კვლავ გამოიჩინა თავი 60 მეტრზე რბენაში. მან ეს დისტანცია დაფარა 6,39 წამში და ამით გაიმეორა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც ორი წლის წინათ დაამყარა. შეგახსენებთ, რომ მორის გრინი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სიდნეიში 100 მეტრიან დისტანციაზე რბენაში. ამავე დისტანციაზე მას მსოფლიო რეკორდიც ეკუთვნის.


მორის გრინი

**ფორმულა-1**

## „შუმის" გამარჯვება ჩაუმწარდა

**ახალი სეზონი „ფერარის" გერმანელი პილოტის მიხაელ შუმახერის ტრიუმფით დაიწყო — მან „ავსტრალიის გრან-პრი" მოიგო. მას შემდეგ, რაც ბრძოლას ფინელი მიკი ჰაკინენი ჩამოცილდა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს კონკურენცია ვერავინ გაუწია.**

შუმახერი სტარტიდანვე წინ გაიჭრა, მეორე პოზიციაზე კი ჰაკინენი გავიდა, რომელმაც ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს ტაქტიკური შეცდომით ისარგებლა. დაწინაურებულ პილოტებს უკან დაედევნენ ფრენტცენი, ბარიკელო და კულტჰარდი, მათგან შორიახლოს განლაგდნენ რალფ შუმახერი და ჟაკ ვილნევი, რომლებიც ურთიერთგამოდევნებით ისე გაერთნენ, მეექვსე წრეში მათი მანქანები ერთმანეთს შეეჯახნენ და, ცხადია, დისტანციას ჩამოცილდნენ. მართალია, თავად უმნიშვნელო ტრავმები მიიღეს, მაგრამ შეტაკება მაინც ტრაგიკულად დასრულდა: ვილნევის ბოლიდის ნამსხვრევი 50 წლის ფოტორეპორტიორს მოხვდა და მიუხედავად ექიმების მცდელობისა, იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ამასობაში პილოტები რბოლას განაგრძობდნენ. შუმახერმა კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა ჰაკინენთან. 27-ე წრეზე ფინელი სულაც ჩამოცილდა დისტანციას — მისი ბოლიდი კედელს შეეჯახა. ცხადია, „შუმის" ასეთ საჩუქარს ხელიდან არ გაუშვებდა.

ტრაგიკული შემთხვევის გამო დაჯილდოების ცერემონია შემოკლებული იყო: გამარჯვებულებს ერთმანეთი და მაყურებელი შამპანურით არ გაუწუწიათ.


მიხაელ შუმახერი

**«ავსტრალიის გრან-პრი»**

1. მიხაელ შუმახერი („ფერარი") — 1:38.28,251
2. დევიდ კულტჰარდი („მაკლარენი") — 1,7 ჩამორჩენა
3. რუბენს ბარიკელო („ფერარი") — 33,4
4. ოლივიე პანისი („ბარი") — 1.02,0
5. ნიკ ჰაიდფელდი („ზაუბერი") — 1,11,4
6. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი („ჯორდანი") — 1.12,8

**ჩოგბურთი**

## გუსტავოს მეათე გამარჯვება


გუსტავო კუერტენი

შარშანდელი შედეგების მიხედვით, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი პლანეტის რჩეული ჩოგბურთელი გახდა. ეტყობა, იგი წელსაც აპირებს ამ წოდების შენარჩუნებას. კვირას მან მექსიკის ქალაქ აკაპულკოს საერთაშორისო ტურნირიც მოიგო. ფინალში ესპანელ გალო ბლანკოს სძლია 6:4, 6:2. ტურნირის საპრიზო ფონდი 800 ათას დოლარს შეადგენდა. გასულ კვირას კუერტენმა ბუენოს-აირესის ღია პირველობაშიც იძალა. ამრიგად, ბრაზილიელს უკვე 10 მატჩია არ წაუგია.

იქვე, აკაპულკოში ქალთა ტურნირიც გაიმართა, რომლის საპრიზო ფონდი 140 ათას დოლარს შეადგენდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა პირველ ნომრად განთესილმა სამხრეთაფრიკელმა ამანდა კეტცერმა, ფინალში რუს ელენა დემენტიევას სძლია 2:6, 6:1, 6:2.


დევენპორტი

## დევენპორტის მორიგი გამარჯვება

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ქალმა ლინდსეი დევენპორტმა თავის სპორტულ კარიერაში 32-ე ტურნირი მოიგო. ეს ასპარეზობა აშშ-ს ქალაქ სტოკსდეილში გაიმართა და მისი საპრიზო ფონდი 565 ათას დოლარს შეადგენდა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დევენპორტმა თანამემამულე მეგან შონესის სძლია 6:2, 6:3.

**ველოსპორტი**

## ბედარდმა შინ მსოფლიო რეკორდი დაამყარა

კანადის ღია პირველობაზე შორტ-ტრეკში კვებეკის მკვიდრმა ერიკ ბედარდმა 1500-მეტრზე ნახევარფინალურ გარბენში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ახლა მსოფლიო მიღწევა 2.15,393 წამს უდრის, რაც უწინდელს ერთი მეათედი წამით სჯობს. წინა რეკორდიც კანადელს, კუინსს ეკუთვნის.


ტაიგერ ვუდსი

**გოლფი**

## ამჯერად ვუდსს უდაბნოში წყალმა შეუშალა

მსოფლიოს რჩეულმა გოლფის მოთამაშემ ტაიგერ ვუდსმა წელს უკვე მესამე ტურნირი ვერ მოიგო. კვირას დუბაიში მას დანიელმა ტომას ბიორნმა აჯობა.

დუბაის ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 1,5 მილიონ დოლარს შეადგენდა, მსოფლიოს რჩეულმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი. ცხადია, ფერადკანიანი ვუდსი უცილობელ ფავორიტად ითვლებოდა. ბოლო რაუნდის წინ ვუდსი ლიდერობდა, ერთი ცდით უსწრებდა ბიორნს, მაგრამ მოხდა სენსაცია — ფინიშამდე სულ ორი ჩასაგდები ორმო რჩებოდა ბიორნი ამერიკელს დაეწია. ამრიგად, ყველაფერი უნდა გადამწყდარიყო ბოლო, 72-ე ცდაზე. „ნერვების ბრძოლაში" დანიელმა სპორტსმენმა იმარჯვა.

## ლინარესის სუპერტურნირი

# კასპაროვი კვლავ პირველია




ლინარესის დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინიშს სიმწვავე აკლდა თუნდაც იმიტომ, რომ პირველი ადგილის ბედი ვადამდე გაცილებით ადრე გადაწყდა. კასპაროვმა სამი პირველი პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ ისეთი შემართებით დაიწყო თამაში, რომ კონკურენციის გაწევა პირდაპირ შეუძლებელი გახდა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეოთხე-მეექვსე ტურების მონაკვეთი, როდესაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ზედიზედ მოიგო სამივე პარტია, მათ შორის მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონ ანატოლი კარპოვთან.

პირველი პრიზი კასპაროვმა გაინაღდა მერვე ტურში, რომლის შემდეგ მან 6 ქულა მოაგროვა. მერვე ტურში დაამარცხა ალექსეი შიროვი, რომელიც მას ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს (გადახედეთ პირად ანგარიშს: კასპაროვმა მოიგო 11 პარტია, შიროვმა – ვერც ერთი, 10 პარტია კი ყაიმით დასრულდა), ამავე დღეს ანატოლი კარპოვმა მოუგო იუდით პოლგარს, პეტერ ლეკო და ალექსანდრ გრიშჩუკი კი ყაიმზე შეთანხმდნენ. რა თქმა უნდა, კასპაროვის გამარჯვება სრულიად დამსახურებულია. საერთოდ, ჭადრაკის ისტორიაში სხვა შემთხვევა არა ყოფილა, რომელიმე დიდოსტატს ზედიზედ რომ მოეგო ყველა სუპერტურნირი.

## სწრაფ ჭადრაკში ანანდი შეუდარებელია

კორსიკაში მოეწყო მეტად საინტერესო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში სოლიდური საპრიზო ფონდით (450 ათასი ფრანკი). მას ხიბლი შემატა მსოფლიო ჩემპიონ ვიშვანათან ანანდის მონაწილეობამაც.

უამრავი მონაწილე ჯერ შვეიცარიული სისტემით (7 ტურად) თამაშობდა, რომლის მიზანი იყო 8 უძლიერესის გამოვლენა. ამ უძლიერესებმა უკვე ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს ბრძოლა. მართალია, პირველ პრიზს ანანდს სერიოზულად ვერავინ შეეცილა. 13 პარტიიდან 10 მოიგო და მხოლოდ 3 (აქედან ორი წინასწარ ტურნირში) დაასრულა ყაიმით.

## ერთი ჭაბუკი და სამი გოგონა

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ (ფიდემ) გამოაქვეყნა მსოფლიოში 20-20 უძლიერესი ჭაბუკისა და გოგონას სარეიტინგო სიები. მასში, როგორც ყოველთვის, საქართველოს წარმომადგენლებიც არიან.

ჭაბუკთა სიაში 2677 ქულით პირველ ადგილზეა რუსლან პონომარიოვი (უკრაინა, დაიბ. 1983 წ. 11 ოქტომბერს), იგი სულ მცირედით უსწრებს ალექსანდრ გრიშჩუკს (რუსეთი, დაიბ. 1983 წ. 31 ოქტომბერს), რომელსაც 2518 ქულა აქვს. მესამეა ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი, დაიბ. 1983 წ. 22 იანვარს), 2618 ქულით.

ამ სიაში მეცამეტეა ბადურ ჯობავა (დაიბ. 1983 წ. 26 ნოემბერს), რომელსაც 2518 ქულა აქვს. ჯობავა ახლა სისტემატურად მაღალი შედეგებით თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში.

გოგონათა შორის პირველ ადგილზეა ჩინელი იუ- ანიანი (1981 წ. 8 მარტი) — 2437. ამ სიაში ჩვენი სამი წარმომადგენელია: 18. ნათია ცაძიკიძე (1983 წ. 27 აპრილი) — 2322, 19. სოფიკო ხუხაშვილი (1985 წ. 4 იანვარი) — 2320, 20. ანა მათნაძე (1983 წ. 20 თებერვალი) — 2317 ქულა.

## სიუ ჟუნი – ბოლო ადგილზე

ბელგრადში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი — ვესელინ ბოშკოვის მემორიალი, რომელმაც ძლიერი შემადგენლობა შემოიკრიბა და მაღალი, ფიდეს XIV კატეგორია მიეკუთვნა. 10 მონაწილეს შორის ერთი ქალიც იყო — მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჟუნი (ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება აქვს).

6,5 ქულით პირველობა მოიპოვა კირილ გეორგიევმა (ბელგრადი) და ნახევარი ქულით გაასწრო ალექსანდრ ბელიავსკის (სლოვენია). 5,5 ქულით მესამე იყო ულფ ანდერსონი (შვეცია). ჩინელ მსოფლიო ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა, იგი 3 ქულით უკანასკნელ, მეათე ადგილზეა.


**გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?**

მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.

**გაიცემა სერტიფიკატები**

გსურთ კომპიუტერის შესწავლა? მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს

„ელიტა-სკ" საერთაშორისო კორპორაცია Es Vita Inc-თან ერთად ენის დახვეწის და პრაქტიკის მიზნით აგზავნის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში.

ERC

„ელიტა სკ"
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@ti.net.ge
www.elite-RC.com


## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**6 მარტი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (14.05), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი" – „სპარტაკი" (23.40), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (2.00). საქართველოს ხმა. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.30), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი" – „სპარტაკი" (23.35). ***НТВ плюс спорт.*** თხილამურები. მსოფლიო თასი (17.15), მოტორბოლა ყინულზე. მსოფლიო ჩემპიონატი (18.35). კალათბურთი. საპორტას თასი (19.55), ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (0.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის (12.00), ინგლისის (19.00), ჩემპიონთა ლიგის (23.30, 02.00) ჩემპიონატების მატჩები და მიმოხილვა. ***EROSPORT.*** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (11.30), სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.00, 15.00, 19.30). ფეხბურთი. ევროგოლი (17.00), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი (13.15), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.30), მინიფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შედეგები (19.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.40), ჩემპიონთა ლიგა: „ლიონი" – „ბავარია" (23.30), „რეალი" – „ლიდსი" (1.45).

**7 მარტი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.55), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (8.30), „გალათასარაი" – „მილანი" (23.40), მიმოხილვა (2.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.30), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.20, 20.00), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „გალათასარაი" – „მილანი" (23.35), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (11.40), კალათბურთი. საპორტას თასი (14.40), ტაილანდური კრივი (17.45), მოტორბოლა ყინულზე. მსოფლიოს პირადი პირველობა (18.40), ცხენოსნობა. კონკური (22.20), კალათბურთი. ევროლიგა (23.25). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (8.30, 19.00). კალათბურთი. ნბა (14.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (16.00, 17.00, 18.15, 19.00, 20.00, 21.00). ფიგურული ციგურაობა, იაპონიიდან (0.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი" – „სპარტაკი" (13.15), „ლიონი" – „ბავარია" (15.30), „რეალი" – „ლიდსი" (18.05), „ლაციო" – „ანდერლეხტი" (21.05), „დეპორტივო" – პსჟ (23.40), „შტურმი" – „ვალენსია" (1.45).

**8 მარტი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00). ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.10), ***НТВ плюсспорт.*** კალათბურთი, ევროლიგა (11.40), ფიგურული ციგურაობა (16.25), კალათბურთი: სუპერლიგა (21.00), ნბა-ს მიმოხილვა (23.35), სპორტული ცეკვა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.05). ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (12.00, 19.00), ინგლისის ჩემპიონატი (22.00). ***EUROSPORT.*** თხილამურები. მსოფლიო თასი (16.30). ძიუდო. გერმანიიდან (22.30), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „გალათასარაი" – „მილანი" (14.00), „დეპორტივო" – პსჟ (16.00), „შტურმი" – „ვალენსია" (19.20), „პანათინაიკოსი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (22.10), მიმოხილვა (0.00).

## ტოტო ლოტო № 08 — ტირაჟის შედეგები 3–4.03.2001

**ლოტო 6-42: 3 5 7 29 30 32**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 4401.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 293.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 8 x | 16.10 ლარი | |
| 3 რიცხვი | 153 x | 1.40 ლარი | |

**სუპერ 7: 0 2 6 5 8 6 5**

| | | | |
|---|---|---|---|
| 0265865 | 50,000 ლარი | 865 | 50 ლარი |
| 265865 | 15,000 ლარი | 65 | 3 ლარი |
| 65865 | 5,000 ლარი | 5 | 0.50 ლარი |
| 5865 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი 12 მატჩი: X 1 1 2 2 1 1 2 1 1 X 1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 14532.30 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 293.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 4 x | 73.20 ლარი | |

09-ე ტირაჟის პროგრამა (10-11. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | იტ. | ბოლონია – ლაციო | 20-20-60 |
| 2. | იტ. | ატალანტა – მილანი | 40-40-20 |
| 3. | იტ. | ინტერი – ვერონა | 60-30-10 |
| 4. | იტ. | ლეჩე – უდინეზე | 30-40-30 |
| 5. | გერ. | ვოლფსბურგი – უნტერჰახინგი | 50-30-20 |
| 6. | გერ. | აინტრახტი – შალკე | 30-30-40 |
| 7. | გერ. | ბოხუმი – კიოლნი | 30-30-40 |
| 8. | გერ. | ფრაიბურგი – დორტმუნდი | 30-40-30 |
| 9. | ესპ. | ვალიადოლიდი – სელტა | 50-30-20 |
| 10. | ესპ. | ბარსელონა – მალიორკა | 50-30-20 |
| 11. | ესპ. | რასინგი – ლას პალმასი | 20-40-40 |
| 12. | ესპ. | ბილბაო – ვილიარეალი | 30-40-30 |

**ტოტო ფეხბურთი 11 მატჩი: 1 1 1 1 2 1 1 2 1 1 1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 137.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 40.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 6 x | 6.80 ლარი | |

09-ე ტირაჟის პროგრამა (10-11. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | აინტრახტი – შალკე | 30-30-40 |
| 2. | გერ. I | ფრაიბურგი – დორტმუნდი | 30-40-30 |
| 3. | გერ. I | ბაიერნი – კოტბუსი | 60-20-20 |
| 4. | გერ. I | ჰერტა – ჰანზა | 50-30-20 |
| 5. | გერ. I | კაიზერი – მიუნხენ 1860 | 40-30-30 |
| 6. | გერ. I | ჰამბურგი – შტუტგარტი | 40-30-30 |
| 7. | გერ. I | ბოხუმი – კიოლნი | 30-30-40 |
| 8. | გერ. I | ვოლფსბურგი – უნტერჰახინგი | 50-30-20 |
| 9. | გერ. II | არმინია – ალენი | 30-40-30 |
| 10. | გერ. II | ჰანოვერი – ულმი | 50-30-20 |
| 11. | გერ. II | ფიურტი – ზანქტ პაული | 30-40-30 |

## სპორტული ლოტო № 08 — ტირაჟის შედეგები 4.03.2001

| ხელი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოგებასახვედრილი რიცხვები | 23 | 22 | 3 | 16 | 12 | 24 | 18 | 6 | 7 | 17 |
| ხელი | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოგებასახვედრილი რიცხვები | 19 | 4 | 11 | 5 | 9 | 10 | 14 | 15 | 20 | 1 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გაუთამაშებელი რიცხვები: 2 8 13 21

მოუგებელი ბილეთებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც 8 აპრილს მონაწილეობას მიიღებენ ტელე-გათამაშებაში:

კოტე თვალაძე (თბილისი) გოგი ჩოფლიანი (თბილისი)

## კროსვორდი №18



**თარაზულად:** 5. საჭადრაკო ფიგურა, 7. თბილისის „ლოკომოტივის" ვეტერანი ფეხბურთელი, 8. პოლონეთის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 11. ქართული ხალხური თამაში, 14. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 15. კლუბი, სადაც თამაშობენ ყაველაშვილი და ჯამარაული, 16. ჩეხი საფეხბურთო მწვრთნელი, 17. დანიის საფეხბურთო კლუბი, 21. 80-იანი წლების ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 22. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მცველი, 23. ნბა-ს ვარსკვლავი, 26. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, 27. წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 28. საქართველოს 2000 წლის რჩეული სპორტსმენი.

**შვეულად:** 1. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 2. ცურვის ყაიდა, 3. სპორტის სახეობა, 4. ესპანეთის I დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 6. ფიფას პრეზიდენტი, 9. ძალოსანი ანუ... 10. წარსულში თბილისის „დინამოს" რუსი კალათბურთელი, 12. ფორმულა-1-ის კანადელი მრბოლი, 13. ქართველი ფეხბურთელი, მცველი, 18. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 19. წარსულში სახელგანთქმული ოსი ფალავანი, 20. წარსულში სახელგანთქმული ქართველი ფალავანი, 24. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 25. გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე.

## №17 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ტატამი, 6. სტარტი, 10. ოინი, 11. ასანიძე, 12. „ირაო", 13. ბორგი, 17. კროლი, 19. იანკერი, 20. „ფაზისი", 21. „აზოტი", 25. უნაგირი, 26. თელია, 27. „სიონი", 30. შიდო, 32. დრონოვა, 33. ჩივუ, 34. ზიდანი, 35. პრუნია. **შვეულად:** 1. ფარი, 2. მარაო, 3. განეა, 4. ეტლი, 7. „ლიმოჟი", 8. ანელკა, 9. მაილსი, 14. გაზაევი, 15. ტაისონი, 16. ფრეზერი, 18. რანიერი, 22. „გრემიო", 23. უგრინი, 24. ჩანოვი, 28. „ოდრა", 29. კანუ, 31. ოტი, 33. ჩუი.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაუგრძნობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს გია იაშვილს ძმის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის კათედრის გამგეს, სეოკ-ის წევრს გია იაშვილს ძმის გარდაცვალების გამო..

„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს გია იაშვილს ძმის გარდაცვალების გამო.

მამუკა ვირუბოვი თანაგრძნობას უცხადებს გია იაშვილს ძმის გარდაცვალების გამო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ლg4! მუქარა 2. e5X.
1. ...de 2. ლ:e4X. 1. ...f5 2. efX.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №2 (10) მარტი, 2001 წელი

# ხსოვნისა და სიძლიერის საერთაშორისო ტურნირი კარატეში



არდავიწყება. არდავიწყება იმ [illegible]იდ გმი[illegible]ბს, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისთვის საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურეს. საქართველომ [illegible]დი გმირების დაბადება, გამოზრდა იცის, რომელთა დავიწყება არ შეიძლება, არ გვეპატიება, ჩვენ, მომავალს...

არც დავივიწყებთ, რომელშიც ერთხელ დაგვარწმუნა 10 თებერვალს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივად ორგანიზებულმა, გრანდიოზულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც მიეძღვნა სწორედ „საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნას".

ჯერ კიდევ ტურნირის სახელწოდება მოგვრის კაცს ტანში ჟრუანტელს „საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი..." ამ წინადადებაში სულ ხუთი სიტყვაა, რომლებიც უზარმაზარ სიამაყეს, ემოციას, სიყვარულს, სითბოს, სიხარულს, წუხილს, აწმყოს, მომავალს და კიდევ რამდენ გრძნობას აღძრავს ადამიანში, რატომღაც ასე მგონია ყველაზე ძალიან ჩვენშია – ქართველებში! სამშობლოს სიყვარული! ალბათ, სწორედ ამ გრძნობამ გააკეთებინა ტურნირის ორგანიზატორებს ეს დიდი საქმე. შეიძლება საქმეში ჩაუხედავი კაცი შემომედაოს კიდეც – რა დიდი საქმეაო, ჰა, ჰა, ხსოვნის ტურნირი, მეტი რა? ჯერ ერთი ამაზე მეტი რაღა გინდა, მეორეც ის, რომ ეს სამი უზარმაზარი სახელმწიფო სტრუქტურა რეგულარულად ატარებენ ამ და სხვაგვარ ღონისძიებებს, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღესდღეობით საქართველოში ამ უნიკალურ საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაციას ძირითადად ისევ და ისევ ეს ხალხი ეწევა. აი...



ტურნირი ყველანაირად მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და საბოლოოდ კი იქ მიწვეულმა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტებმა და სტუმრებმა მთლიანად დაამშვენეს. მოწვეულნი იყვნენ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტები, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარამიძე, საქართველოში კარატეს ერთ-ერთი ფუძემდებელი, კარატეს ექსპერტი, VI დანის მფლობელი, საქართველოს







თავდაცვის მინისტრი გენერალ ლეიტენანტი დავით თევზაძე და მისი მოადგილეები, საქართველოს შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი ირაკლი მეძმარიაშვილი. პირველი ქართველი ოლიმპიელები დავით ციმაკურიძე და რომან ჩიმიშკიანი, შოთა ხაბარელი და კიდევ მრავალი სხვა დიდი და ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები ამშვენებდნენ მართლაც რომ გრანდიოზულ ტურნირს. შეჯიბრებაზე ყველაფერი გაკეთდა, რომ ღირსეული პატივი მიეგოთ მამულისათვის მებრძოლთ.

ტურნირი საზეიმო ვითარებაში თავად ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა კახა ბასილიამ გახსნა, რომელმაც კიდევ ერთხელ მოუწოდა ფედერაციის წევრებს დაუღალავი შრომისაკენ და შექმნილის არდაკმაყოფილებისაკენ. გაიხსენა წლების განმავლობაში ფედერაციის მიერ ჩატარებული სპორტული ღონისძიებები და ის დიდი საქმეები, რომლებმაც ქართველი ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაასაქმა და ერთგულად ჩააბა კარატეს ფერხულში. აქვე აღინიშნა ფედერაციის, საქართველოს მოქლაქეთა კავშირისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივი, გრანდიოზული პროგრამა „საქართველოს ჯანსაღი მომავალი – მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში", რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არ გააჩია საქართველოში. მადლობა გადაუხადა თანადგომისათვის მობრძანებისთვის ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს და სახელმწიფო სტრუქტურებს.

ფედერაციის პრეზიდენტის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბატონი გიორგი ბარამიძე, რომელმაც მადლობა მოუხადა სპორტსმენებსა და დამსწრე საზოგადოებას. თქვენ ნამდვილი მამულიშვილები ხართ, რათა არ ივიწყებთ და ერთგულად ემსახურებით თქვენს საქმესა და ხალხს, მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობისა – და ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ მათ სამაგალითო ლიდერი ჰყავთ – კახა ბასილია, რომელსაც დაფასება უნდა, თავისი მოღვაწეობისათვის. აქვე აღინიშნა, რომ ბატონ კახა ბასილიასთან ერთად წლების განმავლობაში ერთად იღწვოდნენ და ასევე გაგრძელდება მათი საქმიანობა, რომელიც კიდევ უფრო დიდი წარმატებების საშუალებას მისცემს სპორტსმენებს.

საქართველოს კარატეს ერთ-ერთი ფუძემდებლის ბატონ დავით თევზაძი მიმართვა სპორტსმენებისადმი ლაკონური იყო, მაგრამ მებრძოლი სულიდან ამოძახილი. მინისტრმა კიდევ ერთხელ შეაფასა სპორტსმენების მომზადება, მოეწონა და გაამხნევა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მის დასაცავად. ბატონი დავით თევზაძის სიტყვები აღსავსე იყო უსაზღვრო სითბოთი და სიყვარულით კარატისტებისადმი, რომლებიც ნამდვილ მეომრებად ყალიბდებიან მის თვალსა და ხელს შუა.

ტურნირს საამაყოდ ექნება წლების განმავლობაში, რომ მას პირველი ქართველი ოლიმპიელი დავით ციმაკურიძე ესწრებოდა და სიტყვით მიმართა ახალგაზრდა კარატისტებს. მოეწონა მათ და მოუწოდა, რომ მხოლოდ თავდადებული შრომით უნდა მიაღწიონ დიდ წარმატებებს. და ბოლოს, ყველას ოლიმპიელობისაკენ მოუწოდა და უსურვა ეს განუმეორებელი ტიტული.

საზეიმო გახსნა; ამის ენით და კალმით აღწერა ცოტა ძნელია, ძნელია იმ შინაგანი, ამაღლებული ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობის აღწერა. ბარაბნების ცემას, აღმოსავლურ სამყაროში მიჰყავდი, რომელ-



შიც ქართული საბრძოლო ცეკვების შესანიშნავი მელოდიები ირეოდა ასე სასწაულად ერთმანეთში განზავებული და იდუმალი მუსიკა კიდევ ერთხელ გარწმუნებდა, რომ ქართველი გენეტიკურად მეომარია და უცხო არ არის მისთვის ბრძოლა...

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისათვის ამგვარი სპორტული ღონისძიებები უცხო არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ფედერაციაა, რომელიც რეგულარულად ატარებს შეჯიბრებებს და სემინარებს სხვადასხვა რანგში. ეს ტურნირი კი მაინც განსხვავებული იყო თავისი მიზნით. შეჯიბრზე მოწვეულნი იყვნენ რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები საკმაოდ სოლიდური შემადგენლობით. ტურნირს არ აკლდა საქართველოს თითქმის არცერთი რეგიონი, სადაც ცოტა არ იყოს კარატეს შეჯიბრებებში იშვიათია, მაგრამ ამ ფედერაციისთვის აღარც ეს გახლავთ გასაკვირი, იგი ხომ მთელ საქართველოს სრულიად მოიცავს, რომელიც თავის სპორტულ და ეროვნულ ინტერესებს იცავს. საბოლოო ჯამში შეჯიბრზე 400-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა.

ტურნირზე დაწესებული იყო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თასი და სხვა მრავალი პრიზი, რომელიც თბილისის გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა. მეორე ადგილი გორს ხვდა წილად, ხოლო მესამე ადგილზე სომხეთი და კასპი მოთავსდნენ, როგორღაც; ასევე დაწესებული იყო პრიზი საქართველოს შინაგანი ჯარის სარდლის მიერ, რომელიც საუკეთესო მებრძოლისთვის იყო დაწესებული ეს უკანასკნელი კი ნამდვილად ეკუთვნოდა თბილისელ გოგიტა ტატიშვილს. ტურნირი კი საბოლოოდ მშვენიერმა ბანკეტმა დაასრულა, რომელზედაც საპატიო და ჩვენი ქვეყნის სტუმრები იყვნენ მიწვეულნი.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართველი ერთ ფეხზე დგას, მედგრად. მას არც თავისი წარსული დავიწყნია, აწმყოზეც და მომავალზედაც საფუძვლიანად ზრუნავს. მართლაც ძლიერები ვყოფილვართ, სულით და ხორცით.

***P.S. მადლობა ბატონ კახა ბასილიას ამ დიდი საქმისათვის***

***საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრი***

## კიდევ ერთი წარმატება

25 თებერვალს ნაკრების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს როსტოვში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც საქართველოს გარდა მონაწილეობდნენ ბელორუსიის, უკრაინის, მოლდოვას, ყაზახეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდები. ტურნირზე ქართველმა სპორტსმენებმა საკმაოდ კარგად იასპარეზეს, და გუნდური შედეგით რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდნენ (რაც ჩვენი გუნდის მცირე რიცხოვანმა, არასრულმა შემადგენლობამ განაპირობა).

## ისევ კარატეს ქველმოქმედება

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ შეფობა აიღო კოჯრის, უპატრონო ბავშვთა სახლზე, ფინანსური დახმარების გარდა ფედერაციის ინსტრუქტორები ბავშვებს ფიზიკურადაც მოამზადებენ. კონკრეტულად, ჩაუტარდებათ ვარჯიშები კარატეში. მათგან საუკეთესო ბავშვები კი მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში.

## ტურნირი და სემინარები

თებერვლის თვეში საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კარატეში. ასევე ჩატარდა რესპუბლიკური სემინარები, მსაჯებს და ინსტრუქტორებს შორის.

## ბუსი-დო



„მეომრის გზა" – ეს არის მორალური კოდექსი, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს იაპონელი პრივილეგირებული სამხედრო მოსამსახურეების – ბუსი ანუ სამურაების აზროვნების ხასიათს, ქცევის აზრს, ცხოვრების გზას, ეს „ცხოვრების კანონი" ყალიბდებოდა მხოლოდ უფროსების (თანამდებობით, ასაკის, წარმოშობით) პირადი გადმოცემებით უმცროსი თაობის მიმართ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფიქსირებულ იქნა წერილობითი სახით.

XVII საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა „დებულება სამურაების გვაროვნებაზე", რომლის ავტორებმაც დიდი ადგილი დაუთმეს მორალური ნორმების ახსნას.

ერთი საუკუნის შემდეგ კი, (1716 წელი) გამოცემული იქნა 11 ტომი წიგნი „ჰაგაკურესი" (ფოთლებში შენიღბული), რომელიც თავისებური „უწმინდესი ხელნაწერი" გახდა სამურაებისათვის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამურაების მორალი, თავისი ფასეულობებითა და ნორმებით, იყო და აგრძელებს იაპონიის სულიერი კულტურის გადამწყვეტ ფაქტორად ყოფნას. ამიტომ „ბუსი-დოს" პრინციპების შემეცნების გარეშე იმედიც არ უნდა ჰქონდეს ვინმეს ადეკვატურად მიაღწიოს ტრადიციული იაპონური საბრძოლო ხელოვნების აღქმას.

„ბუსი-დოს" კოდექსი ცნობილია სხვადასხვა ვარიანტებში. მის პრინციპებში ყოველთვის პირველ ადგილზეა მოვალეობის, მამაცობა და ღირსება. ყველა დანარჩენი ვარირებს განსაზღვრულ ნორმებში. დღეს ამ კოდექსში სამ ძირითად პრინციპთან ერთად გამოიყოფა კიდევ ცხრა: პირდაპირობა, გულწრფელობა, უანგარობა, მოკრძალება, თავაზიანობა, გულუხვობა, პატივისცემა, კეთილისმსურველობა, საუკეთესო გრძნობების ფლობა.

ჩვენი ღრმა რწმენით, კარატეს ქართველი მიმდევრებისთვის იაპონელი სამურაების „მორალური კოდექსის" ამ ძირითადი პრინციპებიდან მიუღებელი არც ერთი არ უნდა იყოს. მხოლოდ ამ ნორმების დაცვით შეიძლება ადამიანი ჩამოყალიბდეს ნამდვილ პიროვნებად და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩავწვდეთ კარატეს ჭეშმარიტ სულს.

*ბესიკ ხ[illegible]იშვილი*



## განცხადება

**2001 წლის 5-8 აპრილი**

**ქ. ტოლიატი**

## II საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში „თანამეგობრობის თასზე"



ორგანიზატორები:
- რუსეთი კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
- რუსეთის ფიზკულტურისა და სპორტის სამინისტრო
- ქ. ტოლიატის მერია



მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ყველა ეროვნული ნაკრებები და მათ შორის საქართველოს ეროვნული ნაკრები.

**ნაკრების წევრები დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებენ ფედერაციის ცენტრალურ ოფისში.**

**უზნაძის ქ. №6**

**ტელ/ფაქსი: 96-31-89**




## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道



## სტუდენტური სპორტი

**ყურადღება!**

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.

მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" – გაახალგაზრდავდით!*


**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**